F 171
1967
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**2**

თებერვალი

თბილისი — 1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1966 წლის შედეგებისა და 1967 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ**

1966 წლის 30 დეკემბერი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა, განათლების ადგილობრივ ორგანოებსა და პროფკავშირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან ერთად, უზრუნველყო მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების 1966 წლის გეგმის შესრულება.

სათანადო ყურადღება მიექცა რესპუბლიკის დაშორებულ რაიონებში (ხულო, შუახევი, ახალქალაქი და სხვ.) ადგილებზე მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მოწყობას.

დახელოვნების კურსების პროგრამებსა და თემატიკებში სათანადო ასახვა ჰპოვა ბავშვთა ფსიქოლოგიის, დაპროგრამებული სწავლების, სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საკითხებმა.

გაუმჯობესდა კურსებზე ყოფნის პერიოდში მსმენელთა კულტურული მომსახურება.

აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო, ქ. ქუთაისის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გეგეჭკორის, დუშეთის, ლანჩხუთის, ლაგოდეხის, თელავის, მაია-

ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოვსკის, საგარეჯოს, სამტრედიის, ხაშურის, ხობის, ქარელის, ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებები და პროფკავში-რის საქალაქო და რაიონული კომიტეტები სათანადო პასუხისმგებ-ლობით მოეკიდნენ დასახელოვნებელი კონტინგენტის აღრიცხვისა და შერჩევის საქმეს, ჩაატარეს სათანადო მუშაობა მოსავლინებელ მასწავლებლებთან, რის შედეგადაც მიაღწიეს საკურსო ღონისძიე-ბათა გეგმების დროულად შესრულებას.

ამასთან ერთად მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების საქმეში ადგილი ჰქონდა რიგ ნაკლო-ვანებებს.

მიუხედავად გაფრთხილებისა, აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქ. თბი-ლისის განათლების განყოფილებებმა თავიანთი განცხადების მიხედ-ვით ვერ უზრუნველყვეს დახელოვნების გეგმების შესრულება.

გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტი ვერ მოავლინეს ქ. რუსთავის, აბაშის, ამბროლაურის, ბოგდანოვკის, ვანის, თეთრი-წყაროს, თიანეთის, ლენტეხის, მახარაძის, წალენჯიხის და წულუ-კიძის რაიონების განათლების განყოფილებებმა.

დახელოვნების კურსებზე ჰქონდა ადგილი მასწავლებელთა დაგვიანებით მოვლინების ფაქტებს (წალკის, ცაგერის, მარნეულის, ლენინგორის, დუშეთის რაიონები).

რიგი რაიონებიდან მასწავლებლები კურსებზე გამოცხადდნენ მეთოდური ლიტერატურისა და საჭირო სახელმძღვანელოების გა-რეშე, არ იცოდნენ თუ რა პედაგოგიური დატვირთვა ექნებოდათ მათ ახალი სასწავლო წლისათვის.

მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახე-ლოვნების საქმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რეს-პუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი

ა დ გ ე ნ ე ნ

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს ამხ. თ. ა. ზახაშვილს:

ა) 1967 წელს მუშაობიდან მოუწყვეტლად, მუშაობიდან მოწყვეტით და დასწრებულ-დაუსწრებლად მოწყობილ სხვადასხვა სახის კურსებსა და კურს-სემინარებზე დაახელოვნოს 5.000 მასწავ

ლებელი და განათლების დარგის სხვა მუშაკი თანდართული გეგმის ეროვნული ბიბლიოთეკა
მიხედვით;

ბ) მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნება წარმართოს სკოლის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნილებათა საფუძველზე;

გ) ჩაატაროს მოკლევადიანი თათბირი-სემინარი რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლის დირექტორისათვის თანამედროვე ეტაპზე სკოლის წინაშე მდგომ აქტუალურ საკითხებზე;

დ) შემოიღოს კვალიფიკაციის ამაღლების ახალი ფორმა პირველ რიგში ქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის იმ მასწავლებელთათვის, რომლებიც წლების მანძილზე ამჟღავნებენ საგნის ცოდნისა და სწავლების მეთოდების დაბალ დონეს;

ე) გააძლიეროს კონტაქტები რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებთან მათი მეცნიერული ძალების მასწავლებელთა დახელოვნების საქმეში ჩაბმისა და სასწავლო-მატერიალური ბაზების ინტენსიურად გამოყენებისათვის.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა პროფკავშირის შესაბამის კომიტეტებთან ერთად:

ა) დროულად გაატარონ საჭირო ღონისძიებანი დახელოვნების კონტინგენტის შერჩევისა და კურსებზე მივლინებისათვის;

ბ) ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის სოხუმის, ცხინვალისა და ქუთაისის ფილიალებს დახელოვნების ღონისძიებათა 1967 წლის გეგმის ხარისხიანად შესრულებისათვის;

გ) მასწავლებელთა კვალიფიკაციის ახალი ფორმის შემოღებასთან დაკავშირებით დადგენილ ვადებში წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებას ქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის იმ მასწავლებელთა სახელობითი სიები, რომლებიც წლების მანძილზე ამჟღავნებენ საგნის ცოდნისა და სწავლების მეთოდების დაბალ დონეს.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის, წყალტუბოს, ბორჯომის, თეთრიწყაროსა და თელავის რაიონების განათლების განყოფილებებმა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფილიალებს 1967 წლის ივნისსა და ივლისში გამოუყონ საკურსო ღონისძიებათა ჩატარებისათვის შემდეგი სასკოლო შენობები:

ქ. თბილისში—24-ე და 37-ე საშუალო სკოლები;

ქ. სოხუმში—მე-7, მე-9 და მე-10 საშუალო სკოლები;

ქ. ბათუმში—პირველი საშუალო სკოლა;

ქ. ცხინვალში—სკოლა ინტერნატი;

ქ. ქუთაისში—პირველი, მე-4 და მე-20 საშუალო სკოლები;

ქ. წყალტუბოში—რუსული საშუალო სკოლა;

ქ. გუდაუთში—მე-2 საშუალო სკოლა;

ქ. თელავში—პირველი, მე-2 საშუალო სკოლები და სკოლა-ინტერნატი;

თეთრიწყაროში—სკოლა-ინტერნატი;

ქ. ქობულეთში—მე-2 საშუალო სკოლა.

4. აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქ. თბილისის განათლების განყოფილებებს, აგრეთვე ქ. რუსთავის, აბაშის, ამბროლაურის, ბოგდანოვკის, ვანის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ლენტეხის, მახარაძის, წალენჯიხისა და წულუკიძის რაიონების განათლების განყოფილებებს და შესაბამის საქალაქო და რაიონულ პროფკავშირულ კომიტეტებს მოეთხოვოთ მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების საქმეს.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) შეუფერხებლად დააფინანსოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალები ამ დადგენილებით დამტკიცებულ საკურსო ღონისძიებათა გეგმის ფარგლებში.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) დროულად მოამარაგოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალები სასწავლო მასალებით და რბილი და მაგარი ინვენტარით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ღ. ჯავახია) სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შესწავლისას სათანადო ყურადღება მიაქციოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და დახელოვნების საქმეს.

8. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ წერილები მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობის შესახებ.

9. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, შესაბამის პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრებისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობის განყოფილებებმა (ი. კვაჭაძე, ა. დადიანი) კონტროლი დააწესონ ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
**ლ. მაღლაფერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
# მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი

## საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა 1967 წლისათვის

| №№ რიგზე | ვადა / კურსების დასახელება | ჯგუფების რაოდენობა | მსმენელთა კონტინგენტი | კურსების მუშაობის ხანგრძლივობა | მოწყვეტით თუ მოუწყვეტლივ | საათები: სალექციო | საათები: პრაქტიკული | კურსების მუშაობის ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| | **იანვარი** | | | | | | | |
| 1 | საშუალო სკოლების დირექტორების . . . . | 34 | 1020 | 6 დღე | მოწყვეტ. | 24 | 6 | თბილისი |
| 2 | ფიზიკის მასწავლებელთა . | 1 | 30 | 1 თვე | „ | — | — | „ |
| 3 | საექსპერიმენტო კლასების მასწავ. | 3 | 90 | 7 დღე | „ | 30 | 6 | „ |
| 4 | ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა | 4 | 120 | „ | მოუწყ. | 22 | 2 | „ |
| 5 | ისტორიის და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . . . . | 4 | 120 | „ | „ | 22 | 2 | „ |
| 6 | გეოგრაფიის მასწავლებელთა | 4 | 120 | „ | „ | 22 | 2 | „ |
| 7 | გეოგრაფიის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . . . . | 3 | 90 | „ | „ | 22 | 2 | „ |
| 8 | დირექტორების მოადგილეების სასწავლო მუშაობის დარგში . | 1 | 30 | „ | „ | 30 | 6 | „ |
| 9 | დირექტორების მოადგილეების სასწავლო მუშაობის დარგში . | 2 | 60 | „ | „ | 22 | 2 | „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | დირექტორების მოადგილეების სასწავლო მუშაობის დარგში (რუსული ჯგუფი) . . | 2 | 60 | 7 დღე | მოუწყ. | 22 | 2 | თბილისი |
| 11 | საშუალო სკოლების დირექტორების . . . . . | 2 | 60 | „ | „ | 22 | 2 | „ |
| 12 | საშუალო სკოლების დირექტორების (რუსული ჯგუფი) | 2 | 60 | „ | „ | 22 | 2 | „ |
| 13 | გერმანული ენის მასწავლებელთა . | 1 | 30 | 10 დღე | „ | 42 | 58 | „ |
| 14 | ქიმიის მასწავლებელთა . . | 1 | 30 | 5 დღე | დასწრ. დაუსწრ. | 24 | 30 | „ |
| 15 | ქართული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . | 1 | 30 | 3 თვე | მოუწყ. | 140 | 30 | ბათუმი |
| 16 | რუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . . . | 1 | 30 | „ | „ | 140 | 30 | „ |
| 17 | ბიოლოგიის მასწავლებელთა . . | 1 | 30 | 7 დღე | „ | 30 | 6 | „ |
| 18 | ბიოლოგიის მასწავლებელთა . | 1 | 30 | „ | „ | 30 | 6 | გორი |
| 19 | ბიოლოგიის მასწავლებელთა ტაქსიდერმიის საკითხებში დახელოვნების . . . . . . | 1 | 30 | „ | „ | 18 | 18 | ყვარელი |
| 20 | შრომის (მერქანზე და ლითონზე) მასწ. . . . . | 1 | 30 | 1 თვე | „ | 70 | 148 | „ |
| 21 | სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებ. | 1 | 90 | 10 დღე | მოწყ. | 45 | 17 | საგურამო |
| 22 | ბიოლოგიის მასწავლებელთა . | 1 | 30 | 7 დღე | მოუწყ. | 30 | 6 | სოხუმი |
| 23 | ბიოლოგიის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . . | 1 | 30 | „ | „ | 30 | 6 | „ |
| 24 | ოსური ენისა და ლიტერატურის მასწ. . . . . . | 1 | 30 | 1 თვე | მოწყ. | 130 | 40 | ცხინვალი |
| 25 | საბავშვო ბაღების აღმზრდელთა | 1 | 30 | 3 თვე | მოუწყ. | 100 | 50 | ქუთაისი |
| 26 | დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . . . | 1 | 30 | „ | „ | 104 | 60 | გეგეჭკორი |
| | თებერვალი | | | | | | | |
| 1 | სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საკითხებში მასწავლებელთა დახელოვნების . | 2 | 60 | 1,5 თ. | მოუწყ. | 40 | 76 | თბილისი |
| 2 | სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა . . . . . . . | 6 | 180 | 10 დღე | მოწყ. | — | — | საგურამო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . | 3 | 90 | 15 დღე | დასწრ. დაუსწ. | 42 | 57 | თბილისი |
| 4 | რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . . | 3 | 90 | „ | „ | 44 | 53 | „ |
| 5 | მათემატიკის მასწავლებელთა . . | 3 | 90 | „ | „ | 66 | 124 | „ |
| 6 | ფიზიკის მასწავლებელთა . . . . | 3 | 90 | „ | „ | 36 | 64 | „ |
| 7 | ბიოლოგიის მასწავლებელთა . . | 1 | 30 | 7 დღე | მოუწყ. | 30 | 6 | თელავი |
| 8 | ბიოლოგიის მასწავლებელთა . . | 1 | 30 | „ | „ | 30 | 6 | გურჯაანი |
| 9 | IX—X კლასების შრომის მასწავლებ. | 1 | 30 | 15 დღე | „ | 50 | 12 | „ |
| 10 | ფიზაღზრდის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . . . . | 1 | 30 | 1 თვე | მოწყ. | 100 | 90 | სოხუმი |
| 11 | დირექტორების მოადგილეების სასწავლო მუშაობის დარგში . | 1 | 30 | 7 დღე | „ | 30 | 6 | ცხინვალი |
| 12 | ზოგადი ბიოლოგიის მასწავლებელთა . . . . . . . | 1 | 30 | 1,5 თ. | მოუწყ. | 56 | 16 | ქუთაისი |
| | **მ ა რ ტ ი** | | | | | | | |
| 1 | საბავშვო ბაღების მუსიკის მასწავლებ. . . . . . . | 1 | 30 | 15 დღე | მოწყ. | 66 | 24 | თბილისი |
| 2 | ბიოლოგიის მასწავლებელთა . . | 1 | 30 | 7 დღე | დასწრ. დაუსწრ. | — | 42 | „ |
| 3 | ქიმიის მასწავლებელთა . . . . | 3 | 90 | 15 დღე | „ | 36 | 64 | „ |
| 4 | ბიოლოგიის მასწავლებელთა ტაქსიდერმიის საკითხებში დახელოვნების . . . . | 1 | 30 | 7 დღე | მოუწყ. | 18 | 18 | დუშეთი |
| 5 | IX—X კლასების შრომის მასწავლებელთა . . . . | 1 | 30 | 15 დღე | „ | 60 | 12 | გორი |
| 6 | სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა . . . . . . | 1 | 90 | 10 დღე | „ | | | საგურამო |
| 7 | კლასის ხელმძღვანელთა . . . . . | 1 | 30 | 15 დღე | „ | 40 | 8 | ცხინვალი |
| 8 | რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა. მეთოდგაერთიანებების ხელმძღვანელთა . . | 1 | 30 | 7 დღე | „ | 20 | 4 | ქუთაისი |
| | **ა პ რ ი ლ ი** | | | | | | | |
| 1 | საბავშვო ბაღების გამგეების . . | 1 | 30 | 1 თვე | მოწყ. | 100 | 50 | თბილისი |
| 2 | მეთოდისტების მასწავლებელთა . | 1 | 30 | „ | „ | 64 | 156 | „ |
| 3 | ქიმიის მასწავლებელთა . . . . | 1 | 30 | 7 დღე | დასწრ. დაუსწრ. | 12 | 64 | „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | „სახალხო განათლების“ საკუთ. კორესპ. . . . . | 1 | 30 | 3 დღე | მოწყ. | 12 | 6 | თბილისი |
| 5 | არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . | 1 | 30 | 3 თვე | მოუწყ. | 140 | 30 | სოხუმი |
| 6 | მეთოდგაერთიანებათა ხელმძღვანელების . . . . . | 1 | 30 | 7 დღე | „ | 20 | 4 | ცხინვალი |
| 7 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების მოადგილეების სასწავლო მუშაობის დარგში . . . . . | 1 | 30 | 15 დღე | მოწყ. | 60 | 12 | ქუთაისი |
| 8 | „სახალხო განათლების“ საკუთარ კორესპონდენტთა . . . . | 1 | 30 | 3 დღე | „ | 12 | 6 | „ |
| 9 | დაწყებითი კლასების ფიზაღზრდის მასწავლებელთა . . | 2 | 60 | 10 დღე | მოუწყ. | 30 | 62 | ზუგდიდი |
| | მაისი | | | | | | | |
| 1 | საბავშვო ბაღების და ბაგა-ბაღების აღმზრდელთა . | 1 | 30 | 1 თვე | მოწყ. | 100 | 50 | თბილისი |
| 2 | შრომის (მერქანზე და ლითონზე) მასწავ. . . . . . | 1 | 30 | „ | „ | 70 | 148 | „ |
| 3 | ლოგოპედების . . . . . . . | 1 | 30 | 7 დღე | მოუწყ. | 12 | 18 | „ |
| 4 | სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა | 1 | 30 | 1 თვე | მოწყ. | 100 | 50 | „ |
| 5 | გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღმზრდელთა . . . | 1 | 30 | 15 დღე | მოუწყ. | 48 | 8 | თიანეთი |
| 6 | გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღმზრდელთა . . | 1 | 30 | „ | „ | 48 | 8 | ლაგოდეხი |
| 7 | ბიოლოგიის მასწავლებელთა ტაქსიდერმიის საკითხებში დახელოვნების . . . . . | 1 | 30 | 7 დღე | „ | 18 | 18 | ონი |
| 8 | საბავშვო ბაღების აღმზრ. (რუსული ჯგუფი) . . . . . . . | 1 | 30 | 1 თვე | მოწყ. | 100 | 50 | სოხუმი |
| | ივნისი | | | | | | | |
| 1 | ქართული სკოლების დაწყებითი-კლასების მასწავლებელთა . . . | 2 | 60 | 1 თვე | | [illegible] | [illegible] | ბორჯომი |
| 2 | ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . . | 2 | 60 | „ | | [illegible] | 60 | თელავი |
| 3 | ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . . | 1 | 30 | „ | | 0 | 6 | სოხუმი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 2 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . . | 3 | 90 | 1 თვე | | 104 | 60 | ქუთაისი |
| 5 | ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . | 1 | 30 | „ | | 104 | 60 | ახალციხე |
| 6 | რუსული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . | 1 | 30 | „ | | 104 | 60 | თბილისი |
| 7 | რუსული კლასების დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა | 1 | 30 | „ | | 104 | 60 | სოხუმი |
| 8 | არარუსული სკოლების დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელთა . . . | 1 | 30 | „ | | 112 | 80 | თბილისი |
| 9 | არარუსული სკოლების დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელთა . . . . . | 1 | 30 | „ | | 112 | 38 | ქუთაისი |
| 10 | სომხური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . | 1 | 30 | „ | | 106 | 38 | სოხუმი |
| 11 | აფხაზური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . | 1 | 30 | „ | | 106 | 58 | „ |
| 12 | ოსური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . . | 1 | 30 | „ | | 108 | 58 | ცხინვალი |
| 13 | ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა . | 2 | 60 | „ | | 124 | 46 | თელავი |
| 14 | ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა | 2 | 60 | „ | | 124 | 46 | ქუთაისი |
| 15 | მათემატიკის მასწავლებელთა . . . | 3 | 90 | 10 დღე | დასწრ. დაუსწრ. | 44 | 106 | თბილისი |
| 16 | ფიზიკის მასწავლებელთა . . . | 3 | 90 | 7 დღე | „ | 6 | 110 | „ |
| 17 | ქიმიის მასწავლებელთა . . . | 3 | 90 | „ | „ | 6 | 110 | „ |
| 18 | სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საკითხებში მასწავლებელთა დახელოვნების | 1 | 30 | 1 თვე | | 78 | 152 | „ |
| 19 | გახანგრძლივებული დღის ჯგუფების (კლასების) აღმზრდელ-მასწავლებელთა . . . . . | 1 | 30 | 15 დღე | | 60 | 12 | „ |
| 20 | გახანგრძლივებული დღის ჯგუფების (კლასების) აღმზრდელ-მასწავლებელთა . . | 1 | 30 | „ | | 60 | 12 | ქუთაისი |
| 21 | გახანგრძლივებული დღის ჯგუფების (კლასების) აღმზრდელ-მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) | 1 | 30 | „ | | 60 | 12 | სოხუმი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22 | გახანგრძლივებული დღის ჯგუფების (კლასების) აღმზრდელ-მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) | 1 | 30 | 15 დღე | | 60 | 12 | ცხინვალი |
| 23 | მათემატიკის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) | 1 | 30 | 1 თვე | | 130 | 20 | „ |
| 24 | ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა . . . . . | 2 | 60 | „ | | 100 | 90 | თბილისი |
| 25 | ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . | 1 | 30 | „ | | 100 | 90 | „ |
| 26 | ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . | 1 | 30 | „ | | 100 | 90 | ქუთაისი |
| 27 | შრომის (მერქანზე და ლითონზე) მასწ. . . . . . . | 1 | 30 | „ | | 70 | 148 | თბილისი |
| 28 | საექსპერიმენტო კლასების მასწავლებ. . . . . . . | 5 | 150 | 7 დღე | | 30 | 6 | თელავი |
| 29 | ხატვის (სახვითი ხელოვნების) და ხაზვის მასწავლებელთა . . | 1 | 30 | 1 თვე | | 84 | 122 | ბორჯომი |
| | **ივლისი** | | | | | | | |
| 1 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . | 2 | 60 | 1 თვე | | 140 | 30 | ბორჯომი |
| 2 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . | 2 | 60 | „ | | 140 | 30 | ქობულეთი |
| 3 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . | 1 | 30 | „ | | 130 | 30 | „ |
| 4 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . | 3 | 90 | 20 დღე | დასწრ. დაუსწრ. | 58 | 168 | ბორჯომი |
| 5 | რუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . | 2 | 60 | 1 თვე | | 140 | 30 | სოხუმი |
| 6 | არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . | 2 | 60 | „ | | 140 | 30 | გუდაუთა |
| 7 | რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . | 3 | 90 | 20 დღე | დასწრ. დაუსწრ. | 74 | 162 | „ |
| 8 | მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 30 | 1 თვე | | 140 | 30 | „ |
| 9 | ოსური სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 30 | „ | | 140 | 30 | ცხინვალი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწ. . | 1 | 30 | 1 თვე | | 140 | 30 | წყალტუბო |
| 11 | არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწ. . | 1 | 30 | „ | | 100 | 30 | „ |
| 12 | გერმანული ენის მასწავლებელთა . | 2 | 60 | „ | | 108 | 106 | თ. წყარო |
| 13 | ინგლისური ენის მასწავლებელთა . | 1 | 30 | „ | | 108 | 106 | „ |
| 14 | ბიოლოგიის მასწავლებელთა . | 2 | 60 | „ | | 106 | 86 | თბილისი |
| 15 | ბიოლოგიის მასწავლებელთა . | 2 | 60 | „ | | 106 | 8Ј | წყალტუბო |
| 16 | მათემატიკის მასწავლებელთა . . | 3 | 90 | „ | | 130 | 20 | თბილისი |
| 17 | მათემატიკის მასწავლებელთა . . | 2 | 60 | „ | | 130 | 20 | ქუთაისი |
| 18 | ფიზიკის მასწავლებელთა . . . | 2 | 60 | „ | | 96 | 114 | „ |
| 19 | ფიზიკის მასწავლებელთა . . . | 2 | 60 | „ | | 96 | 114 | თბილისი |
| 20 | ფიზიკის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . . . | 1 | 30 | „ | | 96 | 114 | სოხუმი |
| 21 | აფხაზური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . | 1 | 30 | „ | | 140 | 30 | „ |
| 22 | გეოგრაფიის მასწავლებელთა . . | 2 | 60 | „ | | 114 | 36 | თელავი |
| 23 | ჯეოგრაფიის მასწავლებელთა . . | 2 | 60 | „ | | 114 | 36 | ქუთაისი |
| 24 | დაწყებითი სკოლების გამგეების . | 2 | 60 | „ | | 108 | 52 | ცხინვალი |
| 25 | ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . | 1 | 30 | „ | | 104 | 56 | „ |
| 26 | ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა . | 2 | 60 | 20 დღე | | 102 | 12 | თელავი |
| 27 | ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა . | 2 | 60 | „ | | 102 | 12 | ქუთაისი |
| 28 | ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . . . | 1 | 30 | „ | | 102 | 12 | ცხინვალი |
| 29 | IX—X კლასების შრომის მასწ. . | 1 | 30 | 15 დღე | | 60 | 12 | თბილისი |
| 30 | IX—X კლასების შრომის მასწ. . | 1 | 30 | „ | | 60 | 12 | ქუთაისი |
| 31 | IX—X კლასების შრომის მასწ. . . | 1 | 30 | „ | | 60 | 12 | წულუკიძე |
| 82 | ქიმიის მასწავლებელთა . . | 2 | 60 | 1 თვე | | 104 | 88 | თბილისი |
| 33 | ფილმოთეკების გამგეების . . . | 1 | 80 | 20 დღე | | 46 | 116 | „ |
| | **ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი** | | | | | | | |
| 1 | პედაგოგიური კაბინეტების გამგეების . . . . . . . | 2 | 30 | 15 დღე | მოწყ. | 60 | 12 | თბილისი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების . . . . . . | 2 | 60 | 15 დღე | მოწყ. | 60 | 12 | თბილისი |
| 3 | ქიმიის მასწავლებელთა . . . . | 2 | 90 | 10 დღე | დასწრებ. დაუსწრ. | 16 | 122 | „ |
| 4 | ფიზიკის მასწავლებელთა . . | 3 | 90 | „ | „ | 16 | 122 | „ |
| 5 | ბიოლოგიის მასწავლებელთა . . | 1 | 30 | 3 თვე | მოუწყ. | 106 | 80 | ლაგოდეხი |
| 6 | სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა | 1 | 30 | 15 დღე | „ | 60 | 12 | ლენტეხი |
| 7 | ესთეტიკური ციკლის საგნების ასწავლებელთა . . . . . | 10 | 300 | 1 თვე | მოწყვეტ. | 80 | 70 | კიკეთი |
| 8 | მათემატიკის მასწავლებ. (რუს. ჯგ.) | 1 | 30 | „ | „ | 130 | 20 | სოხუმი |
| 9 | პედაგოგიური კაბინეტების გამგეების . . . . . . | 1 | 30 | 15 დღე | „ | 60 | 12 | ქუთაისი |
| 10 | საბავშვო ბაღების აღმზრდელთა | 1 | 30 | 3 თვე | მოუწყ. | 100 | 50 | მახარაძე |
| | ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი | | | | | | | |
| 1 | სასკოლო ინსპექტორების . . . | 2 | 6 | 15 დღე | მოწყ. | 60 | 12 | თბილისი |
| 2 | მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორების მოადგილეების სასწავლო მუშაობის დარგში . . . . | 1 | 30 | 1 თვე | „ | 120 | 30 | „ |
| 3 | სკოლა - ინტერნატების უფროს აღმზრდელთა . . . . . . | 1 | 30 | 15 დღე | „ | 60 | 12 | „ |
| 4 | არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა . . . | 1 | 30 | 1 თვე | „ | 130 | 30 | „ |
| 5 | IX—X კლასების შრომის მასწავ. . | 1 | 30 | 15 დღე | მოუწყ. | 60 | 12 | ბათუმი |
| 6 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების . . . . | 1 | 30 | 15 დღე | მოწყ. | 60 | 12 | ქუთაისი |
| | ნ ო ე მ ბ ე რ ი | | | | | | | |
| 1 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების მოადგილეების სასწავლო მუშაობის დარგში . . . . . . . . | 2 | 60 | 15 დღე | მოწყ. | 60 | 12 | თბილისი |
| 2 | სკოლა - ინტერნატების აღმზრდელთა (რუსული ჯგუფი) . . | 1 | 30 | 1 თვე | „ | 100 | 50 | „ |
| 3 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . | 3 | 90 | 15 დღე | დასწრ. დაუსწრ. | 42 | 175 | „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . | 3 | 90 | 15 დღე | დასწრ. დაუსწრ. | 50 | 173 | თბილისი |
| 5 | მათემატიკის მასწავლებელთა . | 3 | 90 | „ | „ | 70 | 110 | „ |
| 6 | საბავშვო ბაღების აღმზრდელთა (ქართული ჯგ.) . . . . . | 1 | 30 | 1 თვე | მოწყ. | 100 | 50 | სოხუმი |
| 7 | ბიოლოგიის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) . . . . . | 1 | 30 | 15 დღე | მოწყ. | 60 | 12 | ცხინვალი |
| | **დ ე კ ე მ ბ ე რ ი** | | | | | | | |
| 1 | ქიმიის მასწავლებელთა . . . . . | 3 | 90 | 15 დღე | დასწრ. დაუსწრ. | 42 | 106 | თბილისი |
| 2 | ფიზიკის მასწავლებელთა . . | 3 | 90 | „ | „ | 42 | 106 | „ |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 18 იანვრის ბრძანება № 59

### ხობისა და ორჯონიკიძის რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ხობისა და ორჯონიკიძის რაიონების მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს ერთგვარი წარმატებები აქვთ მოპოვებული წარმოებაში დასაქმებული სათანადო განათლების არმქონე ახალგაზრდების სკოლებში ჩაბმისა და ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების საქმეში; ასე, მაგალითად, ყველა შემოწმებულ სკოლას აღმოაჩნდა წარმოება-დაწესებულების მიხედვით სკოლაში ჩასაბმელი ახალგაზრდობის დაზუსტებული სიები; შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი პედაგოგიურ-მეთოდური თვალსაზრისით გამართულ გაკვეთილებს ატარებს. ასეთებია: (ხობის რაიონის ხეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლიდან: მ. ალანია (მათემატიკა), ს. ტყემალაძე (ქიმია), ე. ხიჯაკაძე (ბიოლოგია), ისტორიის მასწავლებლები დ. ბუკია (ხობის რაიონის ხეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა). შ. კაციტაძე (დაბა ორჯონიკიძის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), მ. შავიძე, ა. ბურჯანაძე (ორჯონიკიძის რაიონის მარელისის მუშა ახალგაზრდობის სკოლა).

მიუხედავად ამისა, აღნიშნული რაიონების სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ხობის რაიონში შესრულებული არ არის მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა. 1-ლი სექტემბრის მდგომარეობით რაიონში უნდა იყოს რვაწლიანი სკოლის 19 კლასი 206 მოსწავლით, ფაქტიურად არის 11 კლასი 161 მოსწავლით.

ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი ნაკლებ დაინტერესებას იჩენს სწავლებაში იმ მუშების ჩასაბმელად, რომელთაც არ გააჩნიათ საჭირო განათლება; მაგალითად, ხობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის ახალსოფლის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობიდან სწავლებაში არ არის ჩაბმული 43 ახალგაზრდა, ჭალადიდის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობიდან—28, ქაბა ორჯონიკიძის რაიკოპკავშირიდან—20, ორჯონიკიძის ავტო-სატრანსპორტო კანტორიდან—8 და ა. შ.

არადამაკმაყოფილებელია სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა; მათ ფიზიკასა და ქიმიაში მხოლოდ მცირე რაოდენობის ხელსაწყო-იარაღები აქვთ. ზოგან მოუგვარებელია მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიების საღამოს (ცვლის) სკოლების მიერ შეუფერხებლად სარგებლობის საკითხი. ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაა ორჯონიკიძის რაიონის მარელისის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში, რომელიც დღის რვაწლიანი სკოლის ბაზაზე მუშაობს.

შემოწმებული რაიონის სკოლები არასერიოზულად ეკიდებიან სასკოლო მუშაობის დაგეგმვას. სკოლის წლიური მუშაობის გეგმებში არაფერია ნათქვამი ისეთ საკითხებზეც კი, როგორიცაა ცალკეული დისციპლინების სწავლების ხარისხის ამაღლება. საერთოდ ეს გეგმები შინაარსობრივად ღარიბია, ენობრივად კი—გაუმართავი.

არადამაკმაყოფილებელია პედაგოგიური საბჭოების მუშაობა. პედსაბჭოების სხდომებზე დირექტორებისა და კლასის ხელმძღვანელთა მიერ წარმოდგენილი მოხსენებები და ინფორმაციები პირველი მეოთხედის შედეგებზე არ იძლევა გაწეული მუშაობის სრულ ანალიზს.

სკოლების დირექტორები და სასწავლო მუშაობის დარგში მათი მოადგილეები ნაკლებად ზრუნავენ მასწავლებელთა მეცნიერულ-პედაგოგიური და მეთოდური დონის ამაღლებისათვის. სკოლებში მივიწყებულია მეთოდური მუშაობა. ხობის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებლები გაერთიანებულნი არიან დღის სკოლის მასწავლებლებთან, რომელთა გეგმებში გათვალისწინებული არ არის საღამოს სკოლების მუშაობის თავისებურებანი.

კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიური გეგმები მოსწავლეთა შემადგენლობისა და მუშაობის პირობების გულდასმით შესწავლის გარეშე დგება; უფრო მეტიც: ხობის რაიონის ქვემო ქვალონის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის X, XI და ორჯონიკიძის რაიონის მარელისის მუშა ახალგაზრდობის სკოლის VIII და XI კლასების ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები ერთმანეთის ასლს წარმოადგენს.

არასწორად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი: ხში-რად ისეთი საგნები, რომელთაც კვირაში ერთი საათი ეთმობა, უკანასკნელ გაკვეთილებადაა შეტანილი, ხოლო ის სასწავლო დისციპლინები, რომლებსაც ორი საათი აქვს დათმობილი, მომდევნო დღეებში ისწავლება. ხობის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის VII კლასში სსრ კავშირის გეოგრაფიის ნაცვლად შეტანილია საქართველოს გეოგრაფია და ასევე ისწავლება, ხოლო ხეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში ალგებრა და გეომეტრია ერთ დღესაა შეტანილი. მსგავს მდგომარეობას ადგილი აქვს სხვა სკოლებშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნული სკოლების ერთ ნაწილში მოუგვარებელია სასკოლო დოკუმენტაცია. მოუწესრიგებელია მასწავლებელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები, პედაგოგიური საბჭოს საოქმე წიგნი და სხვ. დაბა ორჯონიკიძისა და მარელისის მუშა ახალგაზრდობის სკოლების XI კლასების მოსწავლეთა ნაწილს აკლია რვაწლიანი განათლების მოწმობა.

ხობისა და ორჯონიკიძის რაიონების მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში არადამაკმაყოფილებლად დგას ცალკეული საგნების სწავლება.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა ხობის რაიონის ხეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში. ამ სკოლის მოსწავლეები მათემატიკის სრულ უცოდინარობას იჩენენ: VII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ნ. ფუტკარაძე) ალგებრიდან ელემენტარული საკითხები არ იციან, X კლასის მოსწავლეთა ნაწილმა ვერ შეძლო ტრიგონომეტრიული ფუნქციების სიმბოლოების დაწერა, ხოლო IX კლასელებმა მხოლოდ მასწავლებლის ი. ბუკიას ჩარევით შეძლეს მარტივი სახის ერთუცნობიანი პირველი ხარისხის განტოლების ამოხსნა. იმავე მასწავლებელმა XI კლასის ალგებრისა და ელემენტარული ფუნქციების გაკვეთილი მოანდომა კვადრატული ფუნქციის გრაფიკის აგებისა და მისი უმცირესი და უდიდესი მნიშვნელობის დადგენის ლექციური მეთოდით ახსნას, რაც მოსწავლეებისათვის სრულიად გაუგებარი დარჩა.

არადამაკმაყოფილებლად დგას ამ საგნის სწავლება ხობის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში, სადაც X კლასში მასწავლებელმა მერი თარაკველიამ ახალი მასალა „სინუსებ ს თეორემა" ახსნა ლექციური მეთოდით, რაც არ შეესაბამებოდა კლასის მომზადების დონეს.

დაბალი ცოდნა გამოავლინეს X კლასის მოსწავლეებმა გეომეტრიაში (მასწ. ვ. გაბრავა). მათ არასაკმაო წარმოდგენა აქვთ სივრცით გეომეტრიულ სხეულებზე, ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო განემარტა თუ რას ნიშნავს სიბრტყისადმი სწორი ხაზის პერპენდიკულარობა.

ქვემო ქვალონის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში შემოწმების დღეს არ იცნობდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 3 ოქტომბრის განმარტებას „საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის პროგრამაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ“, რის გამო XI კლასის მოსწავლეები სწავლობდნენ ფუნქციის წარმოებულს.

მარელისის მუშა ახალგაზრდობის სკოლის X კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი პ. ჯგურენაია) გეომეტრიაში ვერ დაადგინეს ორი სწორი ხაზის პერპენდიკულარობა სამი პერპენდიკულარის თეორემის გამოყენებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს საჭირო იყო კლასზე მიცემული ამოცანის ამოხსნისათვის. ამავე მასწავლებელს IX კლასში არ უსწავლებია ვექტორების სკალარული ნამრავლი და მის საფუძველზე თემა „სამკუთხედების ამოხსნა“.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი არადამაკმაყოფილებლად ატარებს საკონტროლო წერებს. ხობის რაიონის სოფ. ქვემო ქვალონის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის X კლასის მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებში მასწავლებლის მიერ შენიშნული არ არის დაშვებული შეცდომები, ხოლო ხეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის VII და VIII კლასებში შესრულებული არ არის წერითი მუშაობის ნორმები.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქიმიის სწავლება ხობის რაიონის ხეთის საღამოს საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ვ. გოგუა). X კლასში ახალი მასალის „ალუმინის წარმოება“ ახსნისას კლასს მასწავლებელმა უთხრა „ალუმინის ატომი იერთებს სამ ელექტრონს“ ($Al+3e=Al^0$). მის მიერ დაშვებული ასეთი შეცდომა იმის შედეგია, რომ ის არ ემზადება გაკვეთილებისათვის და სუსტად ფლობს საგანს. ამიტომაა, რომ ამ კლასის მოსწავლეებმა შემოწმების დღეს არ იცოდნენ საშინაო დავალებად მიცემული მასალა. უფრო მეტი, ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო წყლის ფორმულის დაწერა. მოსწავლეთა ასეთი სუსტი ცოდნა იგრძნობა სხვა კლასებშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს დ. ორჯონიკიძის მუშა ახალგაზრდობის სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა. ისინი ვერ ასხვავებენ ნაჯერი და უნაჯერი ნახშირწყალბადების თვისებებს, ვერ დაწერეს მათი ზოგადი ფორმულები, ხოლო მეათე კლასელები ვერ ერკვევიან ნაერთთა ძირითადი კლასების თვისებებში, ვერ განმარტეს რას ეწოდება მჟავები და ფუძეები.

შემოწმებული სკოლების ისტორიის მასწავლებელთა ერთ ნაწილს გარკვეული ხარვეზები აქვს საგნის სწავლების თანმიმდევრობაში; ასე, მაგალითად, ხობის რაიონის ხეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის X კლასის მასწავლებელ ელეონორა პაჭკორიას უნდა ესწავლებინა სსრ კავშირის ისტორია და უახლესი ისტორია, მაგრამ უსწავლებია მხოლოდ უახლესი ისტორია. ეს მასწავლებელი საფუძვლიანად არ ემზადება გაკვეთილისათვის, იგი ახალი მასალის „ჩინეთი, კორეა, ვიეტნამი“ ახსნისას არ შეეხო ისეთსაკითხებს, როგორიცაა: ჩინეთში სახალხო ხელისუფლების დამყარება, სსრ კავშირ-ჩინეთის 1950 წლის ხელშეკრულება, კორეაამერიკის შეერთებული შტატების 1950—53 წლების ომი და სხვა.

ამავე რაიონის ახალსოფლის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის ისტორიის მასწავლებელი გ. ხუციშვილი IX კლასში ახალი ისტორიის მეორე ნაწილის ნაცვლად, ისევ გასულ წელს შესწავლილ პირველ ნაწილს ასწავლის, ხოლო X კლასში—სსრ კავშირის ისტორიის იმ ნაწილს, რომელიც წელს VIII კლასში ისწავლება, ასევე დარღვეულია ამ საგნის სწავლების თანმიმდევრობა XI კლასში. მასწავლებელმა ამ კლასში მასალის „ინგლისი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ“ ახსნისას არ გააშუქა თემის მთელი რიგი ძირითადი საკითხები.

მასწავლებელთა ნაწილი ლიბერალურად აფასებს მოსწავლეთა ცოდნას, დაუმსახურებლად წერს შეფასების ნიშნებს, სკოლის დირექტორები კი საჭირო კონტროლს არ ახორციელებენ მათზე. ხობის რაიონის ხეთის საშუალო სკოლაში (დირექტორი აპ. მგალობლიშვილი) მთელ რიგ საგნებში მეტად დაბალია მოსწავლეთა ცოდნა, ხოლო ზოგიერთ საგნებში ისინი სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ, მიუხედავად ამისა, მიმდინარე სასწავლო წლის პირველ მეოთხედში სკოლას 100%-ანი აკადემიური „მოსწრება“ ჰქონდა.

სასწავლო წლის პირველ მეოთხედში სკოლებში ადგილი ჰქონდა მიმდინარე შეფასების ნიშნების არასწორად გამოყვანის ფაქტებს. ასე, მაგალითად, ხობის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის X კლასის მოსწავლე ხურცილავა გეომეტრიაში გამოკითხულია ერთხელ და საკლასო ჟურნალში უწერია „3“, მეოთხედური ნიშანი კი აქვს „2“; მოსწავლე გაბელიას გერმანულ ენაში მეოთხედის მანძილზე საკლასო ჟურნალში ნიშანი არა აქვს და მეოთხედის ბოლოს უწერია „4“; ახალსოფლის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის XI კლასის მოსწავლეს ხარაიშვილს I მეოთხედში ყველა საგანში მიღებული აქვს დადებითი შეფასება, ჟურნალის მიხედვით კი გამოკითხულია მხოლოდ ქიმიასა და საზოგადოებათმცოდნეობაში და ა. შ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო დარგში მათმა მოადგილეებმა:

ა) გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, პერიოდულად შეისწავლონ ცალკეული საგნების მასწავლებლების, განსაკუთრებით ამ ბრძანებაში აღნიშნული არადამაკმაყოფილებლად მომუშავე მასწავლებლების საქმიანობა და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი;

ბ) მეტი ყურადღება მიაქციონ სასკოლო მუშაობის დაგეგმვას: სკოლის წლიური მუშაობის გეგმის შედგენისას გაითვალისწინონ ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობა და დასახონ საგნების სწავლების ხარისხის ამაღლების ღონისძიებანი;

გ) იზრუნონ მასწავლებელთა მეცნიერულ-პედაგოგიური და მეთოდური დონის ამაღლებისათვის, ამ საქმეში დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 20 ივნისის № 429 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ“;

დ) გააუმჯობესონ პედაგოგიური საბჭოების მუშაობა. საბჭოს სხდომებზე სასწავლო წლის მეოთხედების შედეგების განხილვისას ღრმად გააანალიზონ მეოთხედში სკოლის მიერ გაწეული მუშაობა. დაახასიათონ ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა და დასახონ მათი სწავლების ხარისხის ამაღლების კონკრეტული გზები;

ე) უახლოეს ხანში სრულ წესრიგში მოიყვანონ სასკოლო დოკუმენტაცია;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ) შეადგინონ პედაგოგიურად გამართული გაკვეთილების ცხრილი;

ზ) ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაშალონ, ერთის მხრივ, მოსწავლეთა სკოლაში შესანარჩუნებლად, მათ მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენათა სალიკვიდაციოდ, მეორეს მხრივ, წარმოებაში დასაქმებული რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩასაბმელად;

თ) ბოლო მოუღონ მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურ შეფასებას. განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ ამ საკითხში ცალკეული საგნების მასწავლებელთა საქმიანობაზე;

კ) მიაღწიონ ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და ისტორია-გეოგრაფიაში საჭირო თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით სკოლების უზრუნველყოფას და მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიების შეუფერხებლად გამოყენებას.

2. ხობისა და ორჯონიკიძის რაიონების განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. შ. ხარებავამ, შ. ჩხიკვაძემ):

ა) შემდგომ გააუმჯობესონ საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისადმი ხელმძღვანელობა; მიაღწიონ საწარმოო-დაწესებულებების, მათი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დაინტერესება მათთან მომუშავე ახალგაზრდების სწავლა-აღზრდით;

ბ) დაეხმარონ ამ ტიპის სკოლებს საკუთარი სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით შეუფერხებლად სარგებლობაში;

გ) ეს ბრძანება სათანადო ღონისძიებების გასატარებლად განიხილონ საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე;

დ) ა/წლის 1-ლ ივლისამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ მოხსენებითი ბარათი ამ ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

3. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო, მიეთითოთ: ხობის რაიონის ხეთის, ხობის, ქვემო ქვალონის სოფლის ახალგაზრდობის და ორჯონიკიძის რაიონის მარელისის მუშა ახალგაზრდობის სკოლების მათემატიკის მასწავლებლებს: აპ. ბუკიას, ნ. ფუტკარაძეს, ვ. გაბრავას, ს. ალანიას და პ. ჯგურენაიას; ხეთის სოფლის ახალ-

გაზრდობის და დაბა ორჯონიკიძის მუშა ახალგაზრდობის სკოლე-ბის ქიმიის მასწავლებლებს: ე. გოგუას და ლ. მაჭავარიანს; ხეთისა და ახალსოფლის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ისტორიის მასწავლებლებს: ე. პაჭკორიას და გ. ხუციშვილს.

4. აღინიშნოს ხობის სოფლის ახალგაზრდობისა და ორჯონიკიძის რაიონის მარელისის მუშა ახალგაზრდობის სკოლების დირექტორების ვ. ხოჭოლავასა და მ. შავიძის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე.

5. ხობის რაიონის ხეთის საშუალო სკოლის დირექტორს აპ. მგალობლიშვილს სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობის გამო გამოეცხადოს საყვედური.

ეს ბრძანება საჭირო ღონისძიებათა გასატარებლად გაეგზავნოთ ხობისა და ორჯონიკიძის რაიონების განათლების განყოფილებებს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 30 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 19 იანვრის ბრძანება № 60

### 1966—1967 სასწავლო წელს რესპუბლიკაში საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ქსელი და გაიზარდა სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა რაოდენობა, ამასთან გარკვეული მუშაობა ტარდება ამ ტიპის სკოლებში სწავლების ხარისხის ასამაღლებლად და სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად. თუ 1960—61 სასწავლო წელს რესპუბლიკის 356 საღამოსა და დაუსწრებელ სკოლაში სწავლობდა 33.319 მოსწავლე, მიმდინარე, 1966—67 სასწავლო წლისათვის 381 სკოლაში სწავლობს 52.214 ახალგაზრდა, ე. ი. უკანასკნელი 6 წლის მანძილზე საღამოს სკოლების კონტინგენტი გაიზარდა თითქმის 20.000 მოსწავლით. 1965—66 სასწავლო წელს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ საშუალო განათლების ატესტატი მიიღო 11000-ზე მეტმა ახალგაზრდამ, ხოლო 6000-მა—რვაწლიანი განათლების მოწმობა.

მიუხედავად აღნიშნულისა, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი, რომელთაგან ერთ-ერთ არსებით ნაკლს წარმოადგენს ამ სკოლების ქსელისა და კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შეუსრულებლობა.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად შეანელეს ყურადღება საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების დაკომპლექტების საქმისადმი. განათლების სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტროს ხელთ არსებული მასალებით განათლების არც [illegible] კოლეგიისა და საბჭოს სხდომაზე არ განუხილავთ და არ უმსჯელიათ წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდების აღრიცხვისა და საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლებში მათი ჩაბმის საკითხის შესახებ.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რესპუბლიკაში არ სრულდება საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ქსელისა და კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა. 1965—66 სასწავლო წელს სწავლებაში ჩაუბმელი დარჩა 3.800 მოსწავლე, ხოლო 1966—67 წლისათვის დაგეგმილი 397 საღამოს სკოლის, 3.049 კლასისა და 58-481 მოსწავლის ნაცვლად გახსნილია 381 სკოლა, 2.929 კლასითა და 52.214 მოსწავლით. ე. ი. მიმდინარე სასწავლო წელს გეგმის შესრულებას დააკლდა 16 საშუალო სკოლა, 120 კლასი და 6.267 მოსწავლე. კონტინგენტის გეგმის შესრულებას დააკლდა აფხაზეთის ასსრ-ში 877 მოსწავლე, სამხრეთ ოსეთში 532, ქ. თბილისში 1902, ქ. ტყიბულში 232, ასპინძაში 175, ახალქალაქში 127, ახალციხეში 341, ბოგდანოვკაში 127, გარდაბანში 211, ზესტაფონში 107, ლაგოდეხში 239, წალკის რაიონში 361 მოსწავლე და ა. შ.

სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და საღამოს სკოლებმა ყველა საჭირო ღონისძიებანი როდი გაატარეს სკკპ პროგრამის მოთხოვნილების შესაბამისად სახალხო მეურნეობაში დასაქმებული რვა კლასის განათლების არმქონე 16—30 წლის მომუშავე ახალგაზრდების 1970 წლამდე სწავლებაში ჩასაბმელად. 1966—67 სასწავლო წელს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მთელი კონტინგენტიდან III—VIII კლასებში სწავლობს მხოლოდ 15.869 მოსწავლე.

მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი სწავლების კურსის დამთავრებამდე სხვადასხვა მიზეზის გამო ტოვებს სკოლას; ასე, მაგალითად, გასულ, 1965—66 სასწავლო წელს მუშა ახალგაზრდობის სკოლა მიატოვა 9.628 მოსწავლემ, სოფლის ახალგაზრდობის სკოლა 3278-მა და დაუსწრებელი სკოლა 635 მოსწავლემ. უფრო მეტი: 1966—67 სასწავლო წლის 1-ლ სექტემბერს სკოლას არ დაუბრუნდა 4.976 მოსწავლე, რომლებიც 1965—1966 სასწავლო წლის დამლევს ირიცხებოდნენ საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში დღემდე შედგენილი არ არის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული და სათანადო განათლების არმქონე 16—30 წლის ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების პერსპექტიული გეგმები.

მშრომელთა დეპუტატების აღმასკომების გადაწყვეტილებით წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ახალგაზრდების სწავლების გეგმიური დავალებანი არ არის შედგენილი თვითეული წარმოებისათვის, მშენებლობისათვის, კოლმეურნეობისათვის, საბჭოთა მეურნეობისათვის, რაშიაც ინიციატივა უნდა გამოიჩინონ განათლების ორგანოებმა და საღამოს სკოლებმა.

დღემდე მთელ რიგ წარმოებასა და მშენებლობაზე დაწესებული არ არის ცალკეული პროფესიების მუშებისათვის აუცილებელი ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის მინიმუმი.

წარმოებებს თავიანთ გეგმებში არ შეაქვთ მუშების ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დავალებანი, რომლებიც სხვა მონაცემებთან ერთად უნდა დაჯამდეს ამა თუ იმ წარმოების საწარმოო მოღვაწეობის შედეგების განხილვისას.

მუშებსა და კოლმეურნეებს, რომელთაც სწავლის სურვილი გამოთქვეს, არ ეძლევათ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საგზურები, რითაც ერთის მხრივ, გაიზრდებოდა თვით ამ მუშების, ხოლო მეორეს მხრივ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მათი სწავლების საქმეში.

მთელ რიგ შემთხვევაში ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებანი არ ამაგრებენ საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებზე მიკრორაიონებს და წინასწარ არ საზღვრავენ მოსწავლეთა კონტინგენტებს.

სუსტია საღამოს სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. მხოლოდ 54 სკოლას აქვს საკუთარი სასკოლო შენობა, რაც ხელს უშლის რესპუბლიკაში ცვლიანი სკოლების ქსელის გაშლას.

საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში დიდია შეუთავსებელ მასწავლებელთა რიცხვი. 5.497 მასწავლებლიდან ძირითადად ამ სკოლებში მუშაობს 2.241 მასწავლებელი, ე. ი. ნახევარზე ნაკლები.

ყოვლად გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლები საერთოდ არ არიან ჩაბმული ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მუშაობაში.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, საღამოს სკოლები, პედაგოგები არ ეწევიან ფართო ახსნა-განმარტებით მუშაობას მუშებსა და კოლმეურნეებს შორის საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში ჩაბმის მიზნით, ზაფხულის თვეებში არ ატარებენ სკოლებში ჩასაბმელ ხანგრძლივი წყვეტის მქონე კონტინგენტთან მოსამზადებელ მეცადინეობებს, სკოლებში არ აწყობენ „ღია კარის დღეებს“ და ა. შ.

რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში დღემდე შექმნილი არ არის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მუდმივი ხელშემწყობი კომისიები, რომელთაც დიდი დახმარება შეუძლიათ გაუწიონ საღამოს სკოლებს მოსწავლეთა დაკომპლექტების საქმეში.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ქსელის გაშლისა და მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების სალიკვიდაციოდ,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უახლოეს მომავალში განიხილონ აღნიშნული ბრძანება კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და დასახონ საჭირო ღონისძიებანი;

ბ) ახალი, 1967—68 სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში მტკიცე კონტროლი დააწესონ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ქსელისა და კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებაზე;

გ) თითოეული საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი საშუალო სკოლისათვის დააწესონ მომსახურების რაიონი და დააკისრონ საღამოს სკოლის დირექტორს პერსონალური პასუხისმგებლობა იმ ახალგაზრდების სწავლებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ ან მუშაობენ ამ სკოლისათვის დადგენილ მიკრორაიონში;

დ) 1967 წლის მანძილზე ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მასშტაბით დააზუსტონ და შეადგინონ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული და სათანადო განათლების არმქონე 16—30 წლის ახალგაზრდების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის ამაღლების პერსპექტიული გეგმა;

ე) ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ ჩაატარონ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის საზოგადოებრივი დათვალიერება;

ვ) მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის დახმარებით მიაღწიონ თითოეული საწარმოს, მშენებლობის, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის სახალხო მეურნეობის გეგმაში მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის ამაღლების დავალებათა შეტანას; სამეურნეო მიღწევების შედეგების განხილვისას მხედველობაში მიიღონ ამ ნაწილში მიცემული დავალების შესრულება;

ზ) მიიღონ ზომები საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად, იზრუნონ ამ ტიპის სკოლებისათვის შესაფერისი, დამოუკიდებელი შენობების გამოსაყოფად, უახლოეს 2—3 წელში ყველა საღამოს საშუალო სკოლაში მოაწყონ ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები, შეუფერხებლად მოამარაგონ საღამოს სკოლების მოსწავლეები სახელმძღვანელოებით და სხვა სასწავლო ნივთებით;

თ) მინიმუმამდე დაიყვანონ ამ ტიპის სკოლებში შემთავსებელ მასწავლებელთა რიცხვი;

ი) ყოველ ქალაქში, რაიონსა და სკოლაში 1960 წლის 13 ოქტომბრის მოქმედი დებულების საფუძველზე დაუყოვნებლივ შექმნან საღამოს სკოლების მუდმივი ხელშემწყობი კომისიები (იხილეთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული, 1960 წელი, № 10).

2. საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებმა:

ა) მტკიცედ დაიცვან ამ სკოლებში კლასების დატვირთვის დადგენილი ნორმები;

ბ) უზრუნველყონ სკოლისათვის სახალხო მეურნეობის გეგმით დადგენილი კონტინგენტის მთლიანად ათვისება;

გ) პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ უზრუნველყონ იმ ახალგაზრდების სწავლება, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ მოცემული სკოლისათვის დადგენილი მომსახურების რაიონში;

დ) წარმოებების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებთან და საზოგადოებრივ ორგანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაციებთან ერთად მიიღონ ზომები 1970 წლამდე რვაწლიანი განათლების განსახორციელებლად იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც დასაქმებული არიან სახალხო მეურნეობაში და არა აქვთ შესაფერისი განათლება;

ე) საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში მოსწავლეთა მიღება აწარმოონ სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, უზრუნველყონ ზაფხულის თვეებში ახალმისაღები კონტინგენტის მომზადება, მათთვის კონსულტაციების ჩატარება, პედაგოგიური დახმარების სხვა საშუალებათა ორგანიზაცია და ა. შ.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ პროფსაბჭოს, დაავალოს პროფკავშირულ ორგანიზაციებს:

ა) ურჩიონ წარმოებებს, მშენებლობებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს საწარმოო გეგმებში შეიტანონ მუშებისა და კოლმეურნეობების ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დავალებანი, რომელთა შესრულების მდგომარეობა განხილულ იქნეს საწარმოს მთელი საქმიანობის შეფასებისას;

ბ) წარმოებებსა და მშენებლობებზე საჭიროებისამებრ დააწესონ ცალკეული პროფესიების მუშების ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის მინიმუმი.

4. ეთხოვოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს:

ა) დაავალოს საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების დაკომპლექტების საქმეში;

ბ) მუშებსა და კოლმეურნეებს, რომელთაც სურვილი გამოთქვეს საღამოს სკოლაში სწავლის გაგრძელებაზე, პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მისცენ საგზურები.

5. ეთხოვოს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს, უზრუნველყოს საქალაქო და რაიონული პროფკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების კონტინგენტით დაკომპლექტების საქმეში.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა 1967 წლის 1-ლ ოქტომბრამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ დაწვრილებითი მოხსენებითი ბარათი ამ ბრძანების შესრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და 1967—68 სასწავლო წლისათვის საღამოს სკოლების კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების შესახებ.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე;

ბ) 1967 წლის III კვარტალის დამლევს რესპუბლიკის 3 ქალაქსა და რაიონში (შერჩევით) შეამოწმოს ზემოხსენებული ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგი განიხილოს სამმართველოში;

გ) 1967 წლის IV კვარტალში შეაჯამოს აღნიშნული ბრძანების შესრულების შესახებ ადგილებიდან წარმოდგენილი მასალები და შედეგები მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 30 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 65 ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР от 21-го ЯНВАРЯ 1967 ГОДА

## О результатах обследования учебно-воспитательной работы в некоторых школах Юго-Осетинской Автономной Области

Ознакомившись с представленной Управлением школ докладной запиской о результатах обследования учебно-воспитательной работы в некоторых школах Юго-Осетинской Автономной Области, отмечаю, что, несмотря на определенные успехи, в работе школ имеются серьезные недостатки в постановке преподавания отдельных учебных дисциплин, осуществлении закона о всеобщем обязательном образовании, методической работе и т. д.

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Докладную записку о результатах обследования учебно-воспитательной работы в школах Юго-Осетинской АО переслать в ОблОНО.

2. Отделу народного образования автономной области (тов. Г. Дзагоеву):

а) обсудить докладную записку на совете ОблОНО и наметить действенные мероприятия для устранения имеющихся недостатков;

б) усилить руководство и контроль за работой школ.

Основание: Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 30 декабря 1966 г.

Министр просвещения
Грузинской ССР Т. Лашкарашвили

ეროვნული ბიბლიოთეკა

Министру просвещения Грузинской ССР
тов. Лашкарашвили Т. В.

## ДОКЛАДНАЯ АПИСКА

### О результатах проверки учебно-воспитательной работы в некоторых школах Юго-Осетинской Автономной Области

Бригада Министерства просвещения Грузинской ССР в составе школьного инспектора Министерства просвещения Гаджиларова К. Х., методистов республиканского института усовершенствования учителей Джапаридзе Н. Р., Отарашвили Ш., методистов педкабинета ТОНО Бурштейна И. С. и Квасхадзе А. А. с 28-го ноября по 3 декабря 1966 года изучила постановку учебно-вос- воспитательной работы в Цхинвальских средних школах № 1 (дир. В. Касрадзе), № 2 (дир. Н. Остаев), № 3 (дир. Р. Цховребова). Джавской (дир. В. Санакоева) и Корнисской (дир. П. Богаев) средних школах.

Проверка подтвердила, что в работе обследованных школ имеются определенные успехи: организованно начался новый учебный год, своевременно был проведен текущий и капитальный ремонт школьных зданий, школы в основном укомплектованы специалистами, имеющими соответствующий образовательный ценз.

Однако в работе указанных выше школ имеется целый ряд серьезных недостатков, для устранения которых школы и органы народного образования области должны приложить значительные усилия и перестроить работу в соответствии с растущими требованиями современной школы.

### Русский язык и литература

Преподаватели русского языка и литературы школ г. Цхинвали в основном владеют предметом и методикой его преподавания.

Однако в работе педагогов старших классов обнаружены существенные недостатки.

Учителя не уделяют должного внимания работе над текстом произведения, мало работают над планом к проблемам и образам, тетради по литературе или не ведутся вовсе, или ведутся неудовлетворительно; сочинения большей частью пишутся без планов, что отрицательно сказывается на их содержании (хотя в опубликованном в 1962 г. руководстве Министерства просвещения сказано, что учащиеся 9—11 кл. „в своих сочинениях должны показать умение правильно (с точки зрения содержания и последовательности изложения) составить план сочинения“) (стр. 22).

Особенно эти недостатки проявились в работе педагогов 2-ой средней школы Харебовой Марии Евгеньевны (стаж 15 лет) и Кочиевой Лидии Георгиевны (стаж 21 год)

Учащиеся $10^{в}$ класса (учит. Харебова М. Е.) обнаружили плохое знание уже пройденного в этом году программного материала. Вызванная учительницей ученица Валиева ничего толком не могла рассказать о драматургии Горького. Не смогли ученики ответить и на наши вопросы по пьесе „На дне“: 1). В чем смысл проповеди Луки? 2. Каких взглядов придерживается Клещ?

Не ответили на следующие вопросы по романтическим произведениям:

1. Что такое романтизм?

2. Каковы основные проблемы рассказа „Старуха Изергиль“? Аналогическая картина была и в $9^{в}$ классе (препод. Кочиева Л. Г.). Хотя роман „Евгений Онегин“ уже пройден и даже написано сочинение, ученики не могли ответить на вопросы:

1. Кто такие лишние люди?
2. Какое воспитание и образование получил Онегин?
3. Почему он разочаровался в светском обществе?
4. Почему подружились Онегин с Ленским?
5. Почему Белинский назвал роман Пушкина „энциклопедией русской жизни“?

Вполне понятно, что ученики, не сумевшие ответить на эти вопросы, не смогли хорошо написать сочинение. В этом же

ეროვნული ბიბლიოთეკა

классе ($9^{в}$ )писали сочинение на тему: „Татьяна, русская душой“. Работа без плана и представляет пересказ соответствующих страниц учебника Флоринского.

То же самое и в $X^{в}$ классе (учит. Харебова). Хотя планы к сочинениям имеются, но они ни в коей мере темы не раскрывают; сочинения учеников тоже примитивны.

Отметка за сочинения почему-то выставляется одна, учитывающая только грамотность, хотя в уже упоминаемом нами руководстве Министерства просвещения предусмотрена две отметки (по литературе и языку).

Слабое знание программного материала, совершенную беспомощность в составлении планов проявили ученики 10 класса 3-ей школы (педагог Кабулова Клавдия Николаевна).

Недостаточно прочно знали комедию Грибоедова „Горе от ума“ и не могли прочесть ни одного отрывка наизусть (хотя заучивание отрывков предусмотрено программой) ученики 8 класса 6 ой средней школы (учительница Шавлохова Мери Давидовна). Учительница объяснила это невозможностью приобрести в магазинах города комедию Грибоедова „Горе от ума“.

Мы считаем, что указанные недостатки устранимы, если педагоги будут добросовестнее относиться к своим обязанностям, тщательнее готовиться к урокам; со стороны администрации школы и руководящих органов просвещения области необходимо усилить контроль.

В ином положении находятся школы районов. Ученики приходят в школу, не зная русского языка, а преподаватели методически не подготовлены к работе с такими учениками.

В Джавской средней школе преподавание на русском языке ведется с первого класса. Но ученики $5^{а}$ класса (учительница Джабиева Ольга Акимовна) многих слов не понимают, учительница все время переводит на осетинский язык. Этим и ограничивается словарная работа.

Не понимают многих слов и ученики 9-го класса (учительница Харебова Ю. Г.). Но здесь словарная работа не ведется вообще, нет литературных тетрадей, нет специальных упражнений по развитию речи. Поэтому ученики, читая наизусть стихо-

ეროვნული ბიბლიოთეკა

творение Пушкина „В Сибирь", не смогли объяснить значение многих слов.

Надо отметить, что и в речи самой учительницы много орфоэпических ошибок (гимназию, сослать, посланник, дуэль). Эта щкола, как и все национальные школы, работает по программам, составленным для русских школ Союза, где русский язык является родным.

Ученики национальных школ районов Осетии этот материал осилить не могут. Поэтому в ряде случаев изучается не литературное произведение, а „проходят" учебник или изучают произведение в отрывках по хрестоматии, как это делает учительница 10 класса Джиоева С. Г.

В еще более тяжелом положении находится преподавание русского языка и литературы в Корнисской средней школе Знаурского района, где преподавание на русском яэыке начинаетзя с V класса.

В этих школах, на наш взгляд, нельзя работать по программам русских школ. Подойти же к делу творчески, исходя из местных особенностей, преподаватели, видимо, не могут и не считают себя вправе. Тогда получается, что ученики 8 класса (учитель Джабиев Яков Георгиевич) читают выполненное дома упр. 251 по 2-ой части учебника русского языка, совершенно не понимая значения слов.

Какой смысл в заучивании наизусть правил обособления придаточных предложений, когда ученики не понимают, что они говорят и пишут? В предложении, которое ученики написали дома, они не могли объяснить значение многих слов (взрыв, путешественники, манить, пурпурный и др.).

В этом же классе я пытался побеседовать с учениками о комедии Грибоедова „Горе от ума", которую они, следуя программе, изучали в первой четверти, но из этого ничего не получилось. Ученики даже не понимали моих вопросов, учитель переводил их на осетинский язык.

В 9 классе (там преподает Джиоев) я предложил ученикам прочесть наизусть какое-нибудь стихотворение Пушкина, а затем попросил объяснить значение слов, но никто этого сделать не смог, просил рассказать какой-нибудь эпизод из ро-

мана „Евгений Онегин“, который только, что кончили изучать, но и этого ученики сделать не смогли. Ничего удивительного в этом нет, потому что никакой словарной работы, никаких уроков по развитию речи не проводится.

Только ученики 10-го класса (учитель Джиоев П. Г.) имеют словарики, куда заносятся непонятные слова, но и этого, конечно, недостаточно.

Общая ошибка, присущая всем районным школам, а иногда и городским,—это совершенное игнорирование фонетики.

Звуки русского языка произносятся неправильно, иногда трудно понять, что говорят или читают ученики. Хотя друг друга они понимают.

Разговорным языком учеников во время перемен и даже уроков является осетинский; должны говорить они по-русски.

Мы считаем, что для того, чтобы улучшить преподавание русского языка в национальных школах районов Осетии, особенно там, где преподавание на русском языке вводится с V кл., необходимо изменить программу. Нужна специальная программа, где изучению лексики, фонетики русского языка будет уделено особое внимание. В основу обучения должен быть положен принцип обучения русскому языку в нерусских школах.

## МАТЕМАТИКА

Часть учителей математики добросовестно готовится к урокам и умеет передавать свои знания учащимся, в результате чего у этих учителей учащиеся удовлетворительно знают пройденный материал. К таким учителям относятся Плиев В. С., Джиджоева С. И., Битиев Д. Н.. (все из Цхинвальской средней школы № 2).

Однако наряду с этим в работе отдельных учителей имеют место серьезные недостатки.

Несмотря на большой стаж педагогической работы (свыше 30 лет) учитель Галаванов А. В. (Цхинвальская средняя школа № 2) на уроках бывает невнимателен, не требует от учащихся точных формулировок теорем и определений и, хуже того, допускает фактические ошибки. Все это приводит к слабому усвоению

учащимися программного материала по математике. Так, 30/XI на уроке алгебры в VIII$^{б}$ классе при решении уравнения $x^2+x-30=0$ путем выделения полного квадрата двучлена решавший у доски ученик дважды допустил ошибку и в результате получил корни 6 и 5, но ни учитель, ни учащиеся не заметили этого. Хуже того, когда при проверке решения выяснилось, что первый корень не обращает уравнение в числовое тождество, учитель Галаванов сказал, что „этот корень посторонний он не годится“. Аналогичное положение было и при решении другого примера на квадратное уравнение.

В том же классе учитель Галаванов по геометрии почему-то придерживается не той последовательности, которая предусмотрена программой, а той, которая имеется в учебнике, а именно, после признаков подобия треугольников проходит подобие многоугольников. Знания учащихся по геометрии в этом классе на низком уровне.

Вызывает полное недоумение тот факт, что в прошлом опытный и знающий педагог как Бородина Л. Г. (Цхинвальская средняя школа № 3), в 9-х классах тему „Тригонометрические функции любого аргумента“, подлежащую изучению во II полугодии, отделяет от алгебры и элементарных функций и изучает самостоятельно, выделяя для этого с начала учебного года 2 часа в неделю. Еще большее недоумение вызывает тот факт, что ни директор школы Цховребова Р. Т., ни зам. директора по учебной работе—учитель математики Тадтаев Р. К., видя это, не принимают никаких мер, даже поощряют это, внося в расписание уроков учебный предмет тригонометрию.

Крайне низок уровень знаний учащихся по математике в Джавской и Корнисской средних школах. Это объясняется, во-первых, тем, что учителя не относятся к своей работе с должной ответственностью, во-вторых, отсутствием должного руководства и контроля со стороны руководителей щкол и работников районных отделов народного образования и, в третьих, слабым знанием русского языка учителями и учащимися.

Совершенно недопустимо, что ни один ученик X$^{а}$ класса Джавской средней школы (преп. Бежанов З. С.) не мог ответить на наши вопросы: что такое рациональное число, иррациональ-

ное и действительное число и привести примеры этих чисел. Самый сильный ученик класса Шавлохов сказал, что дробь $^1/_3$ есть иррациональное число. Ясно, что после этого прохождение нового урока — „Доказательство основных свойств показательной функции“ — носил чисто формальный характер.

Немногим лучше положение в IX классе (преп. Цховребов В. Е.), хотя и там многие ученики не могли ответить на вопросы: Кто сформулирует теорему Виета? Кто разложит на множители левую часть уравнения $x^2 - 6x + 5 = 0$? Что предстовляет собой график функции $y = x^2$ и $y = x^2 - 5$?

Неправильна организация опроса учащихся на уроках молодого учителя Корнисской средней школы Шавердова И. И. Во время опроса по алгебре он обычно работает только с учеником, отвечающим урок или решающим пример у доски, не обращая внимания на остальных учащихся. Это, к сожалению, не самое худшее в работе учителя. Дело в том, что большинство учащихся 8-го класса, где работает Шавердов И. И., на уроке алгебры обнаружили полное незнание изучаемой темы „Квадратные уравнения“. Они представления не имели о полных и неполных квадратных уравнениях и не могли написать формулу корней приведенного квадратного уравнения, вывод которой прошли недавно. Несмотря на такое положение, в I четверти 16 учащихся из 20 успевали по математике.

Вызывает большую тревогу уровень знаний по математике учащихся выпускного, десятого класса этой школы (преп. Тедеев Е. В.). Учащиеся класса показали полную беспомощность по изучаемой теме „Тригонометрические теоремы сложения и их следствия“. Многие учащиеся не помнят или не знают формул тригонометрических функций двойного и половинного аргумента, а тем более не могут вывести их.

Дело доходило до того, что учащиеся заявляли, что $\cos 2a = \sin a$.

Многие учащиеся на могли упростить выражение

$$\operatorname{tg}\frac{a}{2} = \frac{\pm\sqrt{\frac{1-\cos a}{2}}}{\pm\sqrt{\frac{1+\cos a}{2}}},$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

а отвечающая у доски ученица не могла произвести деление дроби на целое число.

В I-ой четверти в классе из 19 учащихся по математике не успевало 6 учащихся, но и эта цифра, как показало обследование, явно занижена и не соответствует действительному положению дел.

Крайне безответственно относится учитель Тедеев Е. В. к проведению контрольных работ. За I-ую четверть учителем в Х$^{б}$ классе была проведена всего I работа по алгебре и элементарным функциям (19/Х) и то не по теме. Ученикам были предложены 2 легких примера: один—на квадратное уравнение, другой—на биквадратное уравнение. Несмотря на это, 8 учащихся из 16 получили неудовлетворительную оценку.

В низком уровне знаний учащихся Х класса повинен и преподаватель Шавердов И. И., работавший в прошлом учебном году с этим классом.

Аналогичные положение в VIII клессе (преп. Джиоев С. Г.), где значительная часть учащихся слабо знает тему „Разложение многочлена на множители“, часть учащихся до сих пор не умеет производить действия над рациональными числами.

Учителями и руководителями этих школ не преодолена недооценка значения внеклассной работы по математике, в результате чего математические кружки фактически не работают.

## ФИЗИКА

Большинство преподавателей физики обследованных школ в основном владеют предметом и методикой его преподавания.

В обследованных школах, за исключением Джавской средней школы, создана необходимая учебно-материальная база для преподавания физики.

Хорошо работают и добиваются сознательного усвоения учащимися программного материала по физике, систематически проводят демонстрационные опыты и фронтальные лабораторные работы учителя Э. Микеладзе, А. Гиунашвили (Цхинвальская

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

1-ая средняя школа), Х. Цховребов (Цхинвальская 2-ая средняя школа), В. Бежанов (Джавская средняя школа).

Однако в работе отдельных учителей физики имеют место определенные недостатки. Эти учителя недостаточно работают над повышением педагогического мастерства, глубоко не изучают опыты передовых учителей, редко проводят производственные экскурсии, в результате чего не обеспечивают сознательное усвоение учащимися физических явлений, не вооружают их системой умений и навыков в работе с измерительными приборами, лабораторным оборудованием (преп. С. Тегкаева, Б. Маргиева — Цхинвальская 2-ая средняя школа, С. Джиоев — Корнисская средняя школа).

Слабые знания по теме „Работа и энергия" выявили ученики IX$^{a}$ класса Цхинвальской 2-ой средней школы (преп. Тегкаева). Ни один из опрошенных учеников не мог дать определение понятия работы, написать ее формулу и назвать единицу в системе СИ. Учительница в основном занимается с тем учеником, который отвечает урок, оставляя без внимания остальных учащихся.

Педагог той же школы Б. Маргиева в X классе до начала урока заставила учащегося выполнить на доске схематический чертеж как для предыдущего урока, так и для нового (трехэлектродная лампа и её использование в качестве усилителя), лишая тем самым учащихся восможности наблюдения за динамикой выполнения чертежа.

Методически неправильно провел урок в VI классе Корнисской средней школы учитель С. Джиоев. Закончив большой раздел программы, а именно, „Физические явления, физические величины и их измерения", он без всякого обобщения раздела, даже без опроса предыдущего урока „Учет давления на практике", перешел к объяснению нового материала из следующей темы.

В Джавской средней школе нет отдельного физического кабинета, в результате чего проведение физических экспериментов приходится выполнять в неблагоприятных условиях. В школе не знали об указании Министерства просвещения о запрещении проведения опытов на катодных и рентгеновских трубках. Несмотря на наличие достаточного числа преподавателей физики

и математики в отдельности, эти преподаватели почему-то объединены в одно методобъединение, что в значительной мере препятствует более глубокой разработке обсуждаемых на нем вопросов.

## ХИМИЯ

Ряд учителей химии проводит уроки на должном уровне, основательно знает предмет и владеет методами его преподавания. К таким учителям относятся: Касрадзе Н. (Цхинвальская I-ая средняя шкoла), Джиоева Д. (Цхинвальская 2-ая средняя школа), Тедеева З. (Цхинвальская 3-ья средняя школа).

Эти учителя организованно проводят уроки – при объяснении нового материала вовлекают в активную работу учащихся, умело увязывают изучение новых вопросов со знанием пройденного материала и используют наглядные пособия. Благодаря этому учащиеся не затрудняются самостоятельно писать химические уравнения, иллюстрирующие объясняемые вопросы, и вообще выявляют удовлетворительную подготовку.

Химические кабинеты в этих школах оборудованы соответствующей мебелью, но нет водопроводной сети и вытяжных шкафов, что значительно затрудняет проведение экспериментов. Наличие реактивов и посуды недостаточно, что также является большой помехой при проведении лабораторных работ.

К сожалению, совершенно другое наблюдается в работе учителей химии Цховребовой О. (Джавская средняя школа), Гагиевой Т. (Корнисская средняя школа).

Эти учителя неглубоко знают предмет и методику его преподавания, слабо владеют русским языком.

Учительница Цховребова О. Г. стирол причисляет к гомологам бензола, физические свойства его преподносит в совершенно неправильной форме (ученики восприняли, что стирол газ) не может написать формулу гексахлорбутадиена, тринитротолуол называет тринитробензолом. При фронтальном опросе предлагает учащимся отвечать сидя. За неполноценные ответы выставила положительные оценки пяти ученикам. Преподает предмет без

ეროვნული ბიბლიოთეკა

проведения необходимых опытов. Слабо владеет русским языком („будем ознакомливаться", „один граммолекула" и т. п.).

Учительница Гагиева Т. М., слабо зная русский язык и не поняв текста учебника, сообщает ученикам недопустимые сведения („Ученые думали, что хлористый натрий при растворении в воде распадается на атомы хлора и натрия"). Неубедительно поясняет понятие о цвете ионов, После объяснения нового материала никто из учащихся не смог ответить на вопросы по только что объясненному материалу.

В результате всего этого знания учащихся этих учителей крайне слабые.

Школы Юго-Осетинской А/О все еще не обеспечивают осуществление всеобщего обязательного обучения. Только за прошлый 1965—1966 учебный год из I—VIII классов общеобразовательных школ автономной области выбыло по неуважительной причине 127 учащихся. В текущем учебном году план по контингентам учащихся не выполнен на 172 человека. Из них 28 человек составляет отсев за летний период.

Неблагополучно обстоит дело и в обследованных школах. Только за истекший период текущего учебного года выбыло по неуважительным причинам из Цхинвальской 2-ой средней школы—3, Цхинвальской I-ой средней школы—1, Джавской средней школы—4 ученика.

Одной из главных причин отсева является слабая постановка в отдельных школах учебно-воспитательной работы, в результате чего значительная часть учащихся остается на второй год, являясь таким образом кандидатами на отсев. Так, из 21746 учащихся, обучавшихся в конце прошлого учебного года в школах автономной области, на второй год было оставлено 1631 (7.4%).

В отдельных школах в результате слабой работы со второгодниками, большинство их не успевало в I четверти текущего учебного года. Так, в I средней школе г. Цхинвали из 25 второгодников не успевало 19, во II средней школе г. Цхинвали из 31 не успевало 16, в Джавский средней школе из 12 второгодников не успевало 7. Ясно, что эти учащиеся являются кандидатами на отсев.

Все это говорит о том, что школы и органы народного образования Юго-Осетинской А/О все еще не проводят действенных мер по предотвращению отсева учащихся из школ.

Хотя во всех обследованных школах имеются методические объединения учителей, работа в них, как правило, носит одностороний, по преимуществу методический характер. Учителя недостаточно знакомятся с новейшими достижениями педагогической мысли.

Не осуществляется контроль и руководство за такой важной формой методической работы, какой является самостоятельная работа учителя по совершенствованию теоретической, педагогической и методической подготовки. Почти нигде не применяется такая форма методической работы, как школа передового опыта.

Вышеуказанные недостатки свидетельствуют о том, что директора и их заместители по учебной работе ряда школ Юго-Осетинской АО все еще недостаточно осуществляют руководство и контроль за учебно-воспитательной работой в школе. Занимаясь преимущественно административно-хозяйственными делами, они глубоко не вникают в содержание и методику учебного процесса, руководство и контроль за работой учителей сводят к посещению отдельных уроков без настоящей системы и целенаправленности, а часто и без последующего анализа. Руководители школ слабо проверяют выполнение программ, равномерность опроса учащихся, не требуют от учителей обязательного использования имеющихся в школе технических средств, наглядных пособий, редко проверяют дозировку и качество выполнения домашних заданий и контрольных работ.

Вышесказанное особенно касается Джавской средней школы (дир. Санакоев В. Н., зам. директора по учебной работе Кочиев С. М.), и Корнисской средней школы (дир. Богаев П. К. и зам. директора по учебной работе Джиоев).

К. Гаджиларов

И. Бурштейн

Н. Джапаридзе

Ш. Отарашвили

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1667 წ. 24 იანვრის ბრძანება № 84

### არასრულწლოვანთა შორის დანაშაულებრიობის მდგომარეობისა და მასთან ბრძოლის გაძლიერების ზომების შესახებ

ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს დადგენილება არასრულწლოვანთა შორის დანაშაულებრიობის მდგომარეობისა და მასთან ბრძოლის გაძლიერების ზომების შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, სახალხო განათლების მუშაკებმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან არსებულმა არასრულწლოვანთა საქმეების მუდმივმა კომისიებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს არასრულწლოვანთა შორის დანაშაულებრიობისა და უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის, რის შედეგადაც რესპუბლიკაში მკვეთრად შემცირდა დანაშაულებრიობა. არასრულწლოვანთა შორის მნიშვნელოვანი მუშაობა იყო გაწეული იმისათვის, რომ ჩაებათ ფართო საზოგადოებრიობა ბავშვთა უზედამხედველობის აღმოფხვრისათვის ბრძოლაში, ვინაიდან ბავშვთა უზედამხედველობა წარმოადგენს არასრულწლოვანთა შორის დანაშაულებრიობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს.

უკანასკნელ დროს შეიქმნა მშობელთა საბჭოებისა და კომიტეტების ფართო ქსელი, რომლებმაც გააჩაღეს მუშაობა უზედამხედველო და ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა გამოვლინებისა და მათ შორის აღმზრდელობითი მუშაობის მოწყობისათვის.

არასრულწლოვანთა შორის დანაშაულებრიობისა და უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლა ძირითადად ტარდებოდა იმ მხრივ, რომ გაეუმჯობესებინათ აღმზრდელობითი მუშაობა მო-

ზარდთა შორის სკოლებსა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებში და დაეცვათ მოზარდები სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტების გავლენისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, სახალხო განათლების ორგანოები და ადმინისტრაციული ორგანოები ვერ იყენებენ ყველა შესაძლებლობას არასრულწლოვანთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის, ურიგდებიან უზედამხედველობისა და მოზარდთა და მათ მშობელთა ერთი ნაწილის არასწორი ყოფაქცევის ფაქტებს, სუსტად ეწევიან პროფილაქტიკურ მუშაობას დანაშაულებრიობის თავიდან აცილებისათვის.

ბევრი პედაგოგიური კოლექტივი, სასწავლებლის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები არ გრძნობენ სათანადო პასუხისმგებლობას თვითეული მოსწავლის ყოფაქცევისათვის, კმაყოფილდებიან სასწავლო მეცადინეობის ჩარჩოებით, არ აინტერესებთ ის, თუ როგორ ცხოვრობენ და რას აკეთებენ მოსწავლეები არასასწავლო დროის განმავლობაში.

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ არასრულწლოვანთა მეტი ნაწილი მოდის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექნიკური განათლების სასწავლებლებზე.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სკოლებიდან ბავშვთა განთესვის შემთხვევები, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

საწარმოთა და მშენებლობათა სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ წარმოებაში მომუშავე მოზარდთა აღზრდას, არ უქმნიან მათ საჭირო პირობებს შრომისა, ყოფაცხოვრებისა და დასვენებისათვის. იშვიათი როდია შემთხვევები, როდესაც უარს ეუბნებიან არასრულწლოვანებს სამუშაოდ მიღებაზე ან სამუშაოდან ითხოვენ მათ უმნიშვნელო დანაშაულისათვის.

მოზარდთა შორის აღმზრდელობითს და კულტურულ-მასობრივ მუშაობაში სუსტად არის გამოყენებული კლუბები, კულტურის სასახლეები და სახლები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, სპორტული ბაზები. არ არის მიღებული გადამწყვეტი ზომები იმისათვის, რომ მოეწყოს ბავშვთა დასვენება საცხოვრებელ ადგილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობას, რის შედეგადაც ბევრი კომისია თავს ვერ ართმევს მათზე დაკისრებულ მოვალეობას; მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომები არ იღებენ ზომებს იმისათვის, რომ შეასრულონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის 1965 წლის 23 აპრილის დადგენილების ის ნაწილი, რომელიც შეეხება სადგომების გამოყოფას მშენებარე საცხოვრებელ მასივებში ბავშვებთან მუშაობისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სათანადო დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიიღონ საჭირო ზომები ბავშვებთან და მოზარდებთან აღმზრდელობით მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულებრიობისა და უზედამხედველობის ლიკვიდაციისათვის. მონაწილეობა მიაღებინონ ამ ამოცანის გადაწყვეტაში მშრომელთა ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და კოლექტივს;

ბ) ჩააბან სკოლის ასაკის ყველა ბავშვი სწავლებაში და მიიღონ ყველა ზომა მოსწავლეთა კონტინგენტის მთლიანად შესანარჩუნებლად. გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად, გააძლიერონ კავშირურთიერთობა სკოლასა და ოჯახს შორის, გააუმჯობესონ კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმას ტექნიკურ და სხვა სახის წრეებში;

გ) აქტიური მონაწილეობა მიიღონ არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ და საქალაქო კომისიების მუშაობაში.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მეშვეობით, კონკრეტული გეგმის მიხედვით, უზრუნველყონ ახალგაზრდობის კულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურული მომსახურება: საღამოების, სპორტული შეჯიბრებების, სანახაობათა მოწყობა, ძირითადად საზოგადოებრივ საწყისებზე და მხატვრული თვითმოქმედების ძალებით, მიაღწიონ იმას, რომ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ამ ღონისძიებებისათვის რაიონებსა და ქალაქებში არსებული სპორტული მოედნები, სტადიონები, კულტურის სახლები და კლუბები.

დ) ჩაატარონ მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი აღრიცხვა, მიიღონ ზომები მათი პატრონირების, მეურვეობისა და გაშვილებისათვის არსებული ინსტრუქციის შესაბამისად;

ე) მიიღონ ზომები სკოლების კინოდანადგარების ქსელის გასაფართოებლად იმის უფლებით, რომ მათ მომსახურება გაუწიონ კინოფიკაციისა და კინოგაქირავების ორგანოებმა სპეციალურად შედგენილი რეპერტუარის მიხედვით;

ვ) კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელონ მეთოდური ხელმძღვანელობა და სათანადო რეპერტუარის შერჩევა იმ კინოფილმების ჩვენებაზე, რომლებიც გათვალისწინებულია ახალგაზრდობაში მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

სათანადო ორგანიზაციებთან ერთად მიიღონ ზომები, რათა აღდგენილ იქნეს წინათ არსებული პრაქტიკა, როდესაც მოედნებზე, პარკებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში შაბათობით, კვირა და უქმე დღეებში უფასოდ უჩვენებდნენ უმთავრესად აღმზრდელობითი ხასიათის ქრონიკალურ-დოკუმენტალურ და სამეცნიერო-პოპულარულ ფილმებს;

ზ) სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად რეგულარულად ჩაატარონ რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში საჩვენებელი გამოსვლები და შეჯიბრებანი სპორტის ცალკეულ სახეობებში ოსტატების, წამყვანი სპორტსმენების და სასკოლო კოლექტივების მონაწილეობით;

თ) შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად 1967 წლის 1 თებერვლისათვის დააკომპლექტონ რესპუბლიკის დიდი ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ყველა სახლმმართველობა სათანადო კვალიფიკაციის მქონე შტატის პედაგოგებითა და ინსპექტორ-ორგანიზატორებით ბავშვებთან მუშაობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ვ. ჩინჩალაძე) მიიღოს ზომები მიმღებ-განმანაწილებლებიდან სათანადო კონტინგენტის ბავშვების დროულად გაყვანისათვის საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ჩასარიცხავად.

3. სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ვ. ჩინჩლაძე):

ა) პერიოდულად შეისწავლონ იმ ქალაქებისა და რაიონების განათლების ორგანოების, სკოლების მუშაობა, სადაც დანაშაულებრიობისა და ბავშვთა უზედამხედველობის მდგომარეობა ყველაზე უფრო ცუდია და აღმოუჩინონ ამ ორგანოებს კონკრეტული პრაქტიკული დახმარება, იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს მათი მუშაობა არასრულწლოვანთა შორის უზედამხედველობისა და დანაშაულებრიობის თავიდან აცილებისათვის. საჭირო შემთხვევაში შემოწმების შედეგები წარმოუდგინონ კოლეგიას განსახილველად;

ბ) ადგილებზე მივლინების დროს დაავალონ ინსპექტორებს მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა პატრონირების, მეურვეობისა და გაშვილების მდგომარეობის შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება;

გ) საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სათანადო სამმართველოსთან ერთად მიმდინარე წლის იანვრის დამლევამდე შეიმუშაონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად იმის შესახებ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო საგნები შეისწავლონ არასრულწლოვანებმა.

დ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიასთან და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სათანადო განყოფილებასთან ერთად შეიმუშაონ დებულებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად სახლმმართველობებთან არსებულ ღირსების სასამართლოსა და პედაგოგ ორგანიზატორის შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 20 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

4

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო 1967 წ. 25 იანვარი ბრძანება № 89

### რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა მოსწრების შესახებ

მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წარმოებაში დასაქმებული რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების საქმეში. ყოველწლიურად იზრდება ამ ტიპის სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი: 1965—66 სასწავლო წლის ბოლოს რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებში იყო 47.318 ახალგაზრდა, მათ შორის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში—28.895 მოსწავლე, სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—12.658 და დაუსწრებელ სკოლებში კი—5.765 ახალგაზრდა.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების ერთი ნაწილი შემოქმედებითად უდგება ამ სკოლების მუშაობის სპეციფიკურ პირობებს, გულმოდგინედ სწავლობს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის დადებით და უარყოფით მხარეებს და ატარებს საჭირო ღონისძიებებს, რითაც გარკვეულ წარმატებასაც აღწევს.

მაგრამ, ამასთან ერთად, მთელი რიგი სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, რაც თავის გამოხატულებას პოულობს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დაბალ მაჩვენებლებში; ასე მაგალითად, 1965—66 სასწავლო წლის ბოლოს რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობის სკოლების 28895 მოსწავლიდან კურსი დაამთავრა ან გადაყვანილ იქნა შემდეგ კლასში 21.944 ახალგაზრდა, ანუ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 75,94%-ი. სოფლის ახალგაზრდობის სკოლების 12.658 მოსწავლიდან კურსი დაამთავრა ან გადაყვა-

ნილ იქნა შემდეგ კლასში 10.250 მოსწავლე, რაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 81,05% ს შეადგენს. დაუსწრებელი სკოლე[ბი]ბის 5765 მოსწავლიდან კურსი დაამთავრა ან გადაყვანილ იქნა შემდეგ კლასში 3813 ახალგაზრდა, ანუ 66.14%.

მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობა ბუნებრივად იწვევს მეორეწლიანთა რაოდენობის ზრდას. 1965—66 სასწავლო წელს ასეთი კონტინგენტი იყო: მუშა ახალგაზრდობის სკოლების 34.660 მთსწავლიდან 3596, ე. ი. მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 10,3%, სოფლის ახალგაზრლობის სკოლების 12.658 მოსწავლიდან 1047, ე. ი. 8,27%. ამრიგად, 1965—66 სბსწავლო წელს რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების (დაუსწრებელთა ჩათვლით) 47.318 მოსწავლიდან მეორეწლიანი იყო 4641, ანუ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 9,81%.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის ზოგი ქალაქისა და რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლებში მეორეწლიან მოსწავლეთა პროცენტი გაცილებით მეტია რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელზე; ასე, მაგალითად, 1965—66 სასწავლო წელს ასპინძის რაიონის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების 76 მოსწავლიდან მეორეწლიანი იყო 33, ე. ი. 43,4%, თელავის რაიონის 532 მოსწავლიდან —70, ე. ი. 15% და ა. შ.

დიდია აგრეთვე საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეთა რაოდენობა. მაგალითად, 1965—66 სასწავლო წლის ბოლოს საშემოდგომო გამოცდა მიეცა: მუშა ახალგაზრდობის სკოლების 28.895 მოსწავლიდან 4456 მოსწავლეს, ანუ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 16,45%-ს, სოფლის ახალგაზრდობის სკოლების 10.250 მოსწალიდან 1361 მოსწავლეს, ე. ი. 13,28%-ს, დაუსწრებელი სკოლების 5.765 მოსწავლიდან 853-ს, ე. ი. 14,79%-ს.

ამრიგად, რესპუბლიკის საღამოს (ცვლის) სკოლების 44.910 მოსწავლიდან (დაუსწრებელთა გარეშე საშემოდგომო გამოცდა ჰქონდა მიცემული 6.670-ს, ანუ მათი საერთო რაოდენობის 14, 85%-ს.

კიდევ უფრო უარესი სურათი იყო რესპუბლიკის ზოგ ქალაქში, რაიონსა და ცალკეულ სკოლებში; მაგალითად, საჩხერის რაიონის ძირკვის მუშა-ახალგაზრდობის სკოლის 102 მოსწავლიდან საშემოდგომო გამოცდა ჰქონდა მიცემული 26-ს, ქ. წითელწყაროს მუშა ახალგაზრდობის სკოლის 100 მოსწავლიდან საშემოდგომო მიეცა 46-ს და ა. შ.



...როვნული ბიბლიოთეკა

მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლია მოსწავლეთა დიდი რაოდენობით გასვლა და განთესვა: 1965—66 სასწავლო წლის მანძილზე მუშა ახალგაზრდობის სკოლებიდან გავიდა ან განითესა 9.628 მოსწავლე, სოფლის ახალგაზრდობის სკოლებიდან—3.278, დაუსწრებელი სკოლებიდან კი—635 ახალგაზრდა. უფრო ცუდი მდგომარეობა იყო ზოგ სკოლაში: მაგალითად, ქ. ფოთის დაუსწრებელი სკოლის 103 მოსწავლიდან გავიდა 46; მათ შორის V—VIII კლასების 30 მოსწავლიდან—13; ქ. ქობულეთის მუშა ახალგაზრდობის სკოლის 294 მოსწავლიდან სასწავლო წლის მანძილზე გავიდა 133, მათ შორის: VII კლასის 34 მოსწავლიდან 19, VIII კლასის 36 მოსწავლიდან 23, IX კლასის 91 მოსწავლიდან გავიდა 71, მათ შორის VI კლასის 18 მოსწავლიდან 17, VII კლასის 15 მოსწავლიდან 6, VIII კლასის 20 მოსწავლიდან 7 ახალგაზრდა და ა. შ.

სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის ერთ-ერთი მიზეზია სწავლაში ჩამორჩენილობა; ამის გამო გასულ წელს მუშა ახალგაზრდობის სკოლებიდან განითესა 716 ახალგაზრდა, მათ შორის III—VIII კლასებიდან—321; სოფლის ახალგაზრდობის სკოლიდან—151, მათ შორის III—VIII კლასებიდან—74; დაუსწრებელი სკოლებიდან 90, მათ შორის III—VIII კლასებიდან—20.

სკოლიდან მოსწავლეთა განთესვის ერთ-ერთი მიზეზია სამუშაოზე სისტემატური დაკავება. მუშა ახალგაზრდობის სკოლებიდან ამ მიზეზით გავიდა 624 მოსწავლე, მათ შორის III—VIII კლასებიდან—238; დაუსწრებელი სკოლებიდან გავიდა 38, მათ შორის V—VIII კლასებიდან—21.

აღნიშნული მდგომარეობა გამოწვეულია იმითაც, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენენ საღამოს (ცვლის) სკოლებისადმი, ურიგდებიან ნაკლოვანებებს და არასაკმაოდ ზრუნავენ მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დაბალ დონეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველოებმა საკავშირო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათებში და აუცილებელია ეს საქმე ფართო მსჯელობის საგნად იქცეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მკვეთრად გააუმჯობესონ მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლებისადმი ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი;

ბ) გადაჭრით აამაღლონ სკოლების ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობა მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისადმი; გააძლიერონ ბრძოლა მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის, მეორეწლიანობისა და განთესვის წინააღმდეგ;

გ) გულმოდგინედ შეისწავლონ ამ ტიპის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და, საჭიროების შემთხვევაში, გახადონ იგი ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, აგრეთვე განათლების სამინისტროების კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების მსჯელობის საგნად;

დ) გაატარონ ღონისძიებანი წარმოებაში დასაქმებული რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდების სწავლებაში ჩასაბმელად და ამასთან მოსწავლეთა არსებული კონტინგენტის შესანარჩუნებლად; მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 19 იანვრის № 60 ბრძანებით „1966—1967 სასწავლო წელს რესპუბლიკაში საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ";

ე) მიიღონ ზომები იმ წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ახალგაზრდების სწავლა-აღზრდით დასაინტერესებლად, რომლებშიც მუშაობენ საღამოს (ცვლის) სკოლების მოსწავლეები; მიაღწიონ იმას, რომ ყველა მოსწავლე, რომელიც წარმატებით ათავსებს სწავლას საწარმოში მუშაობასთან, სარგებლობდეს მთავრობის მიერ კანონით დაწესებული შეღავათებით შემცირებული სამუშაო დღით ან შემცირებული სამუშაო კვირით სარგებლობის შესახებ;

ვ) გაატარონ ღონისძიებანი ამ ტიპის სკოლების მასწავლებელთა კადრების შემადგენლობის გასაუმჯობესებლად; მინიმუმამდე დაიყვანონ შეუთავსებელ მასწავლებელთა რაოდენობა;

ზ) ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ, ერთი მხრივ, თვით მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების განკარგულებაში არსებული კაბინეტ-ლაბორატორიებისა და თვალსაჩინო მასალების მაქსიმალურად გამოყენებისა და მეორე მხრივ, მასობრივი სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზით შეუფერხებლად სარგებლობისათვის;

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა (ამხ. გრ. ფოფხაძემ):

ა) შემდგომ გააძლიეროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლებისადმი დახმარება; ამ მიზნით შეისწავლოს მოწინავე სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და განაზოგადოს მათი მოწინავე გამოცდილება, რისთვისაც ფართოდ ჩააბას „პედაგოგიურ კითხვაში" ამ სკოლების მუშაკები;

ბ) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის გაითვალისწინოს პედაგოგიურ-მეთოდიკური ლიტერატურის მომზადება და გამოცემა.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილმა) გააძლიეროს საღამოს (ცვლის) სკოლებისადმი მეთოდური დახმარება.

4. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) შეისწავლოს საკითხი, პირველ რიგში საღამოს (ცვლის) სკოლების IX, X, XI კლასებისათვის სპეციალური სასწავლო პროგრამების მიხედვით სახელმძღვანელოების შედგენის საჭიროებისა და შესაძლებლობის შესახებ და წარმოადგინოს თავისი დასკვნა;

ბ) საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად შეისწავლოს საკითხი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში საღამოს (ცვლის) სკოლების ხაზით სამუშაოდ ერთი საშტატო ერთეულის გამოყოფის შესახებ და წარმოადგინოს თავისი წინადადება;

გ) მიაღწიოს საღამოს (ცვლის) სკოლებისათვის საჭირო სახელმძღვანელო მასალების (დებულებების, ინსტრუქციების, დადგენილებების, ბრძანებების და სხვ.) კრებულის გამოცემას;

დ) განახორციელოს მეთვალყურეობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

5. ეს ბრძანება განსახილველად და სათანადო ღონისძიებათა გასატარებლად გაეგზავნოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალა-ქების, რაიონების განათლების განყოფილებებს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 20 იანვრის კოლეგიის სხდომის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 31 იანვრის ბრძანება № 110

### ამერიკის შეერთებულ შტატებში მოწყობილი გამოფენის—„ბავშვთა შემოქმედება“—მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ

საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის გეგმის თანახმად ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყო გამოფენა თემაზე: „ბავშვთა შემოქმედება“. 1965—1966 წლებში გამოფენა ექსპონირებული იყო აშშ სამ ქალაქში: სან-ფრანცისკოში, სიტლსა და პორტლენდში, თითოეულში 4—4 კვირის განმავლობაში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საბჭოთა კავშირის ბავშვთა მხატვრული და ტექნიკური შემოქმედება.

გამოფენამ წარმატებით ჩაიარა, იგი დაათვალიერა 250 ათასზე მეტმა ამერიკელმა.

რსფსრ განათლების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებამ გამოფენაზე საუკეთესო ნამუშევართა გაგზავნისათვის დიპლომებითა და სამახსოვრო ნიშნებით დააჯილდოვა:

1. ქ თბილისის 62-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები: თემურ ძიგრაშვილი, თეიმურაზ მაჭავარიანი, პავლე ცქიტიშვილი დავით გუჯაბიძე, შალვა გაგუა, კონსტანტინე გორდელაძე, პავლე მუმლაძე, გია სეთურიძე, მერაბ თოხაძე—ექსპონატისათვის „ქართული ნაციონალური საკრავები“.

2. ზესტაფონის რაიონის შროშის საშუალო სკოლის მოსწავლეები: გიორგი მოდებაძე, ალფრედ მოდებაძე, ნოდარ მოდებაძე—ექსპონატებისათვის „ღვინის ჭურჭელი“ (კერამიკა);

3. გარდაბნის რაიონის გამარჯვების საშუალო სკოლის „ხელმარჯვეთა წრის“ წევრები ლ. ჭინჭარაული, უ. გოგოჭური და კ. არაბული—ექსპონატებისათვის—„მამაკაცის ხევსურული ტანსაცმელი და ხელჩანთა“.

4. ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხატვრულ ნაკეთობათა წრე ექსპონატებისათვის – „ქართული თოჯინები“ (სუვენირები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მომინანქრების წრე—ექსპონატებისათვის „მხატვრული ემალი“.

6. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ფოტოწრე—ექსპონატისათვის „ქ. თბილისის ხედები“ (სუვენირები).

7. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ავიამოდელისტთა წრე—ექსპონატისათვის „სავაჭრო ავტომატი“.

8. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გემთსამოდელო წრის წევრი ალექსანდრე გაჯიევი—ექსპონატისათვის ტივი „კონ-ტიკის“ მოდელი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მხატვრული და ტექნიკური შემოქმედების დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის გამოეცხადოთ მადლობა:

1. გიორგი გიორგის ძე ეპიტაშვილს (ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი).

2. გივი ივანეს ძე გივიშვილს—(ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მომინანქრების წრის ხელმძღვანელი).

3. შალვა გიორგის ძე კვირიკაშვილს (ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ფოტოწრის ხელმძღვანელი).

4. მიხეილ მიხეილის ძე ცალქალამანიძეს (ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გემთსამოდელო წრის ხელმძღვანელი).

5. ელენე ნიკოლოზის ასულ გიორგაძეს (საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის სახვითი ხელოვნების სექტორის ხელმძღვანელი).

6. რუდოლფ თედორეს ძე შმატკოვს (ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ავიამოდელიზმის ლაბორატორიის გამგე).

7. ჯუანშერ ალექსანდრეს ძე კვარაცხელიას—(ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი).

8. ნინო ალექსანდრეს ასულ ანთაძეს (ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხატვრულ ნაკეთობათა წრის ხელმძღვანელი).

9. გრიგოლ ერისტოს ძე ონიანს (თბილისის 62-ე საშ. სკოლის დირექტორი).

10. ალექსანდრე ანტონის ძე კალანდაძეს (თბილისის 62-ე საშ. სკოლის „ხელმარჯვეთა წრის“ ხელმძღვანელი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

11. ქეთევან ალექსანდრეს ასული გუგუციძეს (ზესტაფონის რაიონის შროშის საშუალო სკოლის დირექტორი).

12. რუშან ლავრენტის ძე შველიძეს (ზესტაფონის რაიონის შროშის საშუალო სკოლის ხელმარჯვეთა წრის ხელმძღვანელი).

13. გაბრიელ ალექსის ძე გოგოჭურს (გარდაბნის რაიონის გამარჯვების საშუალო სკოლის დირექტორი).

14. ნათელა ნიკოლოზის ასულ ფარულავას (გარდაბნის რაიონის გამარჯვების საშუალო სკოლის ხელმარჯვეთა წრის ხელმძღვანელი).

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. დადგენილება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებების 1966 წლის შედეგებისა და 1967 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ . . . . . 3
2. ბრძანება № 59—ხობისა და ორჯონიკიძის რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 17
3. ბრძანება № 60—1966—1967 სასწავლო წელს რესპუბლიკაში საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის შესრულების მდგომარეობის შესახებ . . . . . 25
4. Приказь № 65—О результатах обследования учебно-воспитательной работы в некоторых школах Юго-Осетинской Автономной области . . . . . 32
5. ბრძანება № 84—არასრულწლოვანთა შორის დანაშაულებრიობის მდგომარეობისა და მასთან ბრძოლის გაძლიერების ზომების შესახებ . . . . . 45
6. ბრძანება № 89—რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა მოსწრების შესახებ . . . . . 50
7. ბრძანება № 110—ამერიკის შეერთებულ შტატებში მოწყობილი გამოფენის—„ბავშვთა შემოქმედება“—მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ . . . 56

3 2/148
ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/III-67 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4.

შეკვ. 290. უე—09557. ტირაჟი 5000.

---

თბილისის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ., 19.
Тбилисская типография № 11, ул. Уш. Чхеидзе№ 19.